# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 12 თებერვალი 2005 №30 (2353) ფასი 50 თეთრი




**ხოჯავას ან-ან ანართოსისით დამთავრდა**

თბილისში განელი ჩამოდის

2



**ძველი დინამო ახალ ლოკომოტივში**

აკობია და კაჭარავა ბრაზილიელებსაც გაწვრთნიან

2



**ბორისამ ათეულში მოარტყა**

ევროლიგის ჯგუფური ეტაპი დამთავრდა

14

# ჯაბა კანკავა ალანიაში, აკაკი დევაძე ზესტაფონში



# 99%



# პრეზიდიუმმა პრეზიდენტს კვანტი გამოსდო

## ბაკურ გოგიტიძე გადააყენეს

ერთი კვირის წინ აგორებული საჭიდაო სკანდალი სპორტის დეპარტამენტის შენობაში გუშინ დიდი ხმაურით, თუმც ჭიდაობის გარეშე დასრულდა. ფედერაციის პრეზიდენტად 2004 წლის 15 დეკემბერს ოთხი წლით არჩეულ ბაკურ გოგიტიძეს საჭიდაო სამყარომ უფლებამოსილება შეუწყვიტა და მის მიერ მიღებული საკამათო გადაწყვეტილებებიც შეცვალა.

იხილეთ მეცამეტე გვერდი



ბაკურ გოგიტიძეს ორი თვის წინათ შემოჯარული ხალხი შემოეცალა

# ძველი დინამო ახალ ლოკომოტივში

## აკობია და კაჭარავა ბრაზილიელებსაც გაწვრთნიან



ნოდარ აკობია

თბილისის „ლოკომოტივის" თავკაცის ჯემალ ჩიმაკაძის გარდაცვალებამ კლუბის ხელმძღვანელობას გეგმები შეუცვალა. რაც არ უნდა იყოს, ცხოვრება გრძელდება და უმწვრთნელო გუნდს მწვრთნელი სჭირდებოდა.

მოკლედ, „ლოკომოტივს" ახალი თავკაცი ჰყავს — ნოდარ აკობია, რომელიც ბოლოს თბილისის „სპარტაკში" მურთაზ ხურცილავას თანაშემწედ მუშაობდა.

აკობია უფრო თბილისის „დინამოდან" ეხსომება ფეხბურთის გულშემატკივარს, „ლოკომოტივში" კი ჩიმაკაძის დამხმარე იყო. დიდი შანსია, აკობიას თანაშემწედ თბილისის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი კახა კაჭარავა დაინიშნოს. ეს ამბავი ჯერჯერობით ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის, თუმც ბევრიც არ უკლია.

სამაგიეროდ, გაირკვა, რომ „ლოკომოტივში" ითამაშებენ ბრაზილიელი ლეგიონერები — ჟუანი და რამონი, რომლებიც ახლა თბილისში არიან და გუნდთან ერთად ვარჯიშობენ. წინასწარი შეთანხმებით, ბრაზილიელები „ლოკომოტივში" სეზონის ბოლომდე დარჩებიან და თუ მწვრთნელ-ხელმძღვანელებს თავი მოაწონეს, მომავალი ჩემპიონატისთვისაც დაიტოვებენ.

**კახა ზალამბერიძე**

# ხოჯავას ან-ან ანართოსისით დამთავრდა

## თბილისში დუგლასი ჩამოდის

**აი, ამბავი:** „თბილისის" დამფუძნებელ მამუკა გუგეშაშვილის ცნობით, კლუბმა გოჩა ხოჯავა კვიპროსულ „ანართოსისში" გაანათხოვრა — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გამთამაშებელი კუნძულზე სეზონის ბოლომდე დარჩება.

ცოტა ხნის წინ ხოჯავას მომავალ კლუბად ჯერ სულაც „შალკეს", მერე „კრილიას" ან „ზესტაფონს" სახავდნენ, თუმც ჩვენიანი საბოლოოდ „ჩვენიანთა" გუნდში მოხვდა — „ანართოსისში" ხომ გოჩას გიორგი ქინქლაძე, კობა წიტაიშვილი, გიორგი გაბიდაური, დავით ჩალაძე და მოთამაშე-მწვრთნელი თემურ ქეცბაია დახვდებიან.

ერთი კია, ხოჯავა და ქინქლაძე ერთი ამპლუის მოთამაშეები არიან, სტილითაც გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს და, ცხადია, მათი ტანდემი ძალიან საინტერესო უნდა იყოს. აქვე ვთქვათ, რომ ფამაგუსტელები კვიპროსულ ჩემპიონატში პირველ ადგილზე არიან და, ვინძლო, ჩემპიონებიც გახდნენ.

მამუკა გუგეშაშვილის ცნობითვე, „თბილისმა" განთავისუფლების ფურცელი მისცა თავდამსხმელ გიორგი მიქაძეს, ხოლო მიხეილ მესხის დარჩენა-არდარჩენის საკითხი ჯერაც გაურკვეველია. ამასობაში, „ზესტაფონი" ცდილობს გივი კვარაცხელიას ან „თბილისის" რომელიმე სხვა მცველის გადაბირებას. იმერული კლუბი ირაკლი ვაშაკიძეს ვერ მოურიგდა და ერთი უკანახაზელი აუცილებლად სჭირდება, თუმც რა გამოვა ამ საქმიდან, ჯერ უცნობია.



„თბილისში" დღე-დღეზე მატებაც იქნება, თანაც ეგზოტიკური. ლუის ცაკარიასის გუნდს დღეს-ხვალ 19 წლის განელი ფორვარდი დუგლას ადომაკო ჩამოაკითხავს. რა გაქანების კაცია ადომაკო, ამას საქართველოს ჩემპიონატის მატჩებში ვნახავთ, ისე კი, შეგახსენებთ, რომ ევროპაში ჭიანჭველებივით მომრავლებული განელებიდან ერთს უკვე უთამაშია საქართველოში, თანაც ცაკარიასის ხელქვეით — ექსლოკომოტიველ ნანა ეშუანს ვგულისხმობთ.

დღეს კი „თბილისი" ბოლო საკონტროლო მატჩს გამართავს ჩემპიონატის განახლებამდე — „ოლიმპის" ხელოვნურსაფარიან მოედანზე პირველლიგელ თბილისის „სპარტაკს" დაუპირისპირდება.

**ილია ნანობაშვილი**

### ინგლისი

**პირველი ლიგა XXXI ტური**

ბრისტოლი 0:1 უოლსოლი

**მეორე ლიგა. XXXI ტური**

საუთენდი 0:0 სკანთორპი

**კონფერენსლიგა XXX ტური**

ძონვი — ნორსვიჩი *დღეს*

### გერმანია

**მეორე ბუნდესლიგა XXI ტური**

დინამო 2:1 აინტრახტი

ალემანია 2:3 უნტერჰახინგი

ობერჰაუზენი 0:1 კოტბუსი

### იტალია

**სერია B. XXVI ტური**

ტრიესტინა 2:1 არეცო

**სერია C/A. XXIII ტური**

სანჯოვანეზე 1:0 მანტოვა

### საფრანგეთი

**მეორე დივიზიონი ! გადადებული მატჩი**

ნანსი 2:0 დიჟონი

**თასის მერვედფინალი**

ნიცა 1:1(დ.დ.3:1) რეიმსი

### ჰოლანდია

**I დივიზიონი. XXI ტური**

გრონინგენი 1:1 ვიტესი

**II დივიზიონი. XXI ტური**

ზვოლე 2:0 ვოლენდამი

ტელსტარი 0:0 ჰელმონდი

სიტარდი 0:3 ჰერაკლესი

ეინდჰოვენი 2:2 ჰაარლემი

მაასტრიხტი 2:0 ოსი

დორდრეხტი 1:2 კამბური

ვენლო 4:0 ემენი

### პორტუგალია

**სუპერლიგა. XXI ტური**

ბელენენსეში : ეშტორილი *გვიან დამთავრდა*

*თბილისის „დინამომ" ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის მზადება დაამთავრა. ესპანური მარბელადან გუშინ, გვიან ღამით დაბრუნებული გუნდი ახლა საქართველოს თასის მერვედფინალისთვის ემზადება. თბილისელები ზეგ „ზესტაფონს" ესტუმრებიან. ამ მატჩში კი, ალბათ, „დინამოში" ხელახალი დებიუტი ექნება გოჩა ჯამარაულს, ვინც მშობლიურ გუნდს მარბელაში გამგზავრებამდე დაუბრუნდა.*

*ოსური „ალანია" თურქული „ტრაბზონსფორი", შვეიცარიული „გრასჰოპერი", უკრაინული „მეტალურგი", აი, გუნდები, სადაც გოჩას „დინამოდან" წასვლის შემდეგ უთამაშია, თუმც შუალედში უკანაც დაბრუნებულა და თბილისელებს ევროსარბიელზე დახმარებია*

# სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული

## ჯამარაული ნორჩ დინამოელში დაბრუნდა



— „დინამოსთან" კონტრაქტი ეროვნული ჩემპიონატის ბოლომდე გავაფორმე, გუნდს დავუბრუნდი და ყველანაირად ვეცდები, დასახული მიზნების მიღწევაში ხელი წავაშველო — გვითხრა მარბელადან ჩამოსულმა გოჩა ჯამარაულმა — კარგი, შეკრული და მეგობრული გუნდი დამხვდა და ვეცდები, ჩემი გამოცდილებით ბიჭებს თამაში გავუიოლო.

**— კონტრაქტი მაისამდე რატომ გააფორმე, კიდევ აპირებ უცხოეთში წასვლას?**

— ამის თაობაზე მაისამდე ვერაფერს გეტყვით. ვნახოთ, „დინამოში" სულ რამდენიმე დღის მოსული ვარ და ახლა სხვა გუნდის გაგონებაც არ მსურს, მხოლოდ „დინამოზე" ვფიქრობ. წინასწარ არ შემიძლია ვთქვა, ზაფხულიდან ჩემი კარიერა როგორ გაგრძელდება.

**— „დინამოში" ხელახლა დაბრუნებულს ყველაზე მეტად რა გეწიშნა?**

— ის, რომ გუნდში ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელები დამხვდნენ, რასაც ნამდვილად არ ველოდი. ვფიქრობ, მათ დიდი მომავალი აქვთ, ოღონდ არ უნდა იზარმაცონ და თავდაუზოგავად ივარჯიშონ. მარბელაში რაც ვნახე, კმაყოფილი დავრჩი, ყველა ფეხბურთელი მონდომებული იყო, შენიშვნების უსიტყვოდ გამოსწორებას ცდილობდნენ და ხშირად ამას კარგადაც აკეთებდნენ. ასე თუ გააგრძელეს, მართლაც მაღალ დონეზე თამაშს შეძლებენ.

**— როგორ ფიქრობ, რა ნაკლი აქვს ამ „დინამოს"?**

— ბიჭებს გამოცდილება, თავდაჯერება აკლიათ. მარბელაში, მაგალითად, არც „ზენიტი" იყო ის გუნდი, „დინამოსთვის" 3:1 მოეგო და არც „შახტარი". ბიჭებს არ ეგონათ, თუ ამათი დამარცხება შეგვეძლო, ეს ვერ დაიჯერეს და წავაგეთ. თუმც ეგ არაფერი, თავდაჯერება გამოცდილებასთან ერთად მოვა.

**— „დინამოს" ახლახან კი შეუერთდი, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ეს გუნდი დღესდღეობით ლიდერია, ჩვენს ჩემპიონატზე წარმოდგენა მაინც შეგექმნებოდა. „დინამოს" შემხედვარე, ჩემპიონატში ძალიან დაბალ დონეს ელი?**

— არა, ასე არ ვფიქრობ, აგერ, „ზესტაფონს" დაუმატებია რამდენიმე ძლიერი და გამოცდილი ფეხბურთელი, „ლოკომოტივი" უნდა იყოს კარგი გუნდი, „ტორპედო", „თბილისშიც" ნიჭიერი ბიჭები არიან. ეგაა, ჩემპიონატი ძალიან გაახალგაზრდავებულა. ადრე „დინამოში" 23-24 წლისანი ვთამაშობდით და უცხოეთში მერე მივდიოდით, ახლა კი გუნდში უმეტესობა 18-19 წლის ფეხბურთელია. ალბათ, სხვაგანაც ასეა.

**— ახალ გუნდში მწვრთნელი ახალ პოზიციაზე ხომ არ გათამაშებს?**

— არა, ყოველ შემთხვევაში, მარბელაში ძველებურად გამთამაშებელი ვიყავი.

**— სასურველ ფორმაში თუ ხარ?**

— ნელ-ნელა ვუმატებ და ჩემპიონატის განახლებისთვის, ალბათ, ფორმასაც აღვიდგენ. ორი თვის უთამაშებლისთვის ათდღიანი მომზადება საკმარისი არ არის.

**— ნაკრებში დაბრუნებაზე ხელი ხომ არ ჩაგიქნევია?**

— ხელი რატომ უნდა ჩავიქნიო?! ჯერ კიდევ ვთამაშობ, ფორმაში ჩავდგები და მერე უკვე მწვრთნელმა იცის. ჟირესს ჩემი მომზადების დონე თუ დააკმაყოფილებს და ნაკრებში მიმიწვევს, ამას რა აჯობებს. ყოველ შემთხვევაში, ნაკრებზე ისევ ვფიქრობ, დანარჩენი მწვრთნელის საქმეა.

**— 14 თებერვალს ზესტაფონში უნდა გელოდოთ?**

— ესეც მწვრთნელის საქმეა. თუ მათამაშებს, ვითამაშებ.

**კობა ინასარიძე**




# გეგუჩაძე მარბელას შემდეგ და დინამო ზესტაფონის წინ

**თბილისის „დინამო“ ესპანური მარბელადან დაბრუნდა და 14 თებერვლის მატჩისთვის ემზადება — საქართველოს თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩში სტუმრად „ზესტაფონს“ უნდა ეთამაშოს (პირველი მატჩი „დინამომ“ 2:1 მოიგო).**

**„დინამომ“ სეზონის მეორე ეტაპზე საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი დაიმატა, რაც ერთიორად საინტერესოს ხდის გუნდის სახეს განახლებულ სეზონში. ეროვნულ ჩემპიონატში „დინამოს“ მთავარი კონკურენტები — ქუთაისის „ტორპედო“, „თბილისი“, „ვიტ ჯორჯია“ და „ლოკომოტივი“ კი, თუ მათ სატრანსფერო სიტუაციას გავიხსენებთ, გაძლიერების ნაცვლად დასუსტდნენ. თუმც ვინ იცის, იქნებ „დინამოს“ ყველაფერი ისე ადვილად არ მიეცეს, როგორც ერთი შეხედვით ჩანს...**

„მარბელას ტურნირზე ერთ კვირაში სამი მატჩი ვითამაშეთ და მთლიანობაში კმაყოფილი დავრჩი. ძლიერ მეტოქეებთან მოვსინჯეთ ძალები და ფეხბურთელები სწორედ ასეთი სპარინგებით იზრდებიან“ — გვითხრა გუშინ დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ, ვისაც დილმის ბაზაზე ვესტუმრეთ.

გეგუჩაძემ ერთხელაც დასძინა, „დინამოს“ ორიენტირი ახალგაზრდობააო, თუმც გუნდში გამოცდილთა ყოლის სარგებლობაზეც ილაპარაკა და თქვა, სწორედ ამიტომ ავიყვანეთ გუნდში გოჩა ჯამარაულიო.

მეორე ეტაპისთვის „დინამომ“ ცხრა ფეხბურთელი დაიმატა და მათგან კონტრაქტი ჯერ ოთხთან გააფორმა — გოჩა ჯამარაულთან, შოთა ბაბუნაშვილთან, ლაშა ჭელიძესთან და ლაშა ნოზაძესთან. გუნდის დანარჩენი ახალწვეულები არიან: ბექა შეყრილაძე, რევაზ გეწაძე, სერგო ორბელაძე, გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე და კობა შალამბერიძე.

„დინამოში“ აპირებდა გადასვლას 21 წლის გოგიტა გოგუაც ვინც „თბილისმა“ ჯერ ტრანსფერზე დააყენა ყველა ფეხბურთელთან ერთად, მაგრამ ახლა სურს, რომ მაინც დაიტოვოს. გოგუა მარბელაშიც ახლდა „დინამოს“, ერთი მატჩი ითამაშა იქ და მერე, სანაკრებო შეკრებაზე რომ ჩამოვიდა, „დინამოში“ აღარ მისულა.

„გოგუაზე ვერაფერს გეტყვით, რაც მარბელადან დავბრუნდი, მას არ შევხვედრივარ. გოგუამ ჩვენგან ოფიციალური მიწვევა მიიღო და გვითხრა, რომ „დინამოში“ თამაში სურს. მაგრამ ახლა სიტუაცია შეიცვალა და ვნახოთ, რა იქნება“ — განმარტავს გეგუჩაძე.

ამასობაში „დინამოდან“ წასვლას ეშურება 18 წლის ჯაბა კანკავა, საყრდენი ნახევარმცველი, რომელმაც მიმდინარე სეზონის დასაწყისში შესანიშნავად ითამაშა უეფას თასის საკვალიფიკაციო და ჯგუფურ ეტაპებზე. სეზონის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ კანკავამ და „დინამოს“ უფროსობამ პირობებზე ილაპარაკეს, რისი გაგრძელებაც ისაა, რომ კანკავა ალბათ ვლადიკავკაზის „ალანიაში“ გადავა. ის, „დინამოს“ მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი და „ალანია“ ახლა მარბელაში არიან — კანკავას ოსურ კლუბში ტრანსფერზე ვაჭრობა მიდის.

„მე კანკავას მდგომარეობაში შევდივარ, თორემ ამ ფეხბურთელს არ გავუშვებდით. ნაადრევია თუ არა კანკავას უცხოეთში წასვლა, ამაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. ისე, როცა კანკავა „დინამოს“ მეორე გუნდიდან პირველში გადმოვიყვანეთ, მაშინაც ეგონა ზოგს, რომ ეს ნაადრევი იყო“ — გვითხრა გეგუჩაძემ.

„დინამომ“ „ტორპედოს“ ბაბუნაშვილი წაჰგვარა, „ტორპედოდან“ „ლოკომოტივში“ გადავიდა მეკარე ზვიად სტურუა, „ლოკომოტივი“ დატოვეს ლადო ბურდულმა და ალეკო გოგობერიშვილმა, „თბილისიდან“ „დინამომ“ ოთხი ფეხბურთელი აიყვანა, „თბილისიდან“ ისედაც წავიდნენ სხვა ფეხბურთელები. მოკლედ, „დინამო“ მნიშვნელოვნად გაძლიერდა, მისი კონკურენტები კი პირიქით.

„სხვა გუნდებიდან ფეხბურთელები რომ მოგვყავს, ეს ჩვეულებრივი პროცესია. მაგრამ სხვები განზრახ დავასუსტოთ და ასეთნაირად გავძლიერდეთ, ასეთ პოლიტიკას არ მივმართავთ. რამდენიმე ფეხბურთელი უცხოური გუნდებიდანაც დავიმატეთ“ — ამბობს გეგუჩაძე, რომლის გაწვრთნილმა „დინამომ“ შარშან უეფას თასის ჯგუფურ ეტაპამდე მიაღწია, მაგრამ მერე ძალა აღარ ეყო, გამოჩნდა, რომ თუ გუნდს ევროპაში სერიოზულად სურს თამაში, ბევრი ძლიერი ფეხბურთელის ყოლა მართებს — „მომდევნო სეზონში ევროსარბიელზე რომ გავალთ, საამისო საფუძველს აქედანვე ვამზადებთ. იმაზეც ვზრუნავთ, რომ დამდეგი სეზონის წინაც ძლიერ გუნდებთან ვითამაშოთ მოსამზადებელ პერიოდში. უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე რომ გავედით, ამით „დინამოს“ ავტორიტეტმა აიწია და რამდენიმე ძლიერ ტურნირზე გვეპატიჟებიან“.

გეგუჩაძემ ისიც გვითხრა, არაა გამორიცხული, მეორე ეტაპის განახლებამდე კიდევ დავამატოთ ფეხბურთელებიო. შესაძლოა, „დინამოში“ ბრაზილიელი ფიზმომზადების მწვრთნელიც ვიხილოთ.

ზეგ, 14 თებერვალს კი „დინამოს“ საშუასეზონო შესვენების შემდეგ პირველი გამოცდა ელის. გეგუჩაძე „ზესტაფონზე“ ამბობს: „მეტოქე გაძლიერდა, რამდენიმე კარგი ფეხბურთელი დაიმატა, შეკრებაზეც წარმატებულად ითამაშა საკონტროლო შეხვედრებში. ზესტაფონში თამაშისთვის ძალიან სერიოზულად უნდა მოვემზადოთ“.

მაინც ვინ იქნება „დინამოსთვის“ ყველაზე კონკურენტუნარიანი გუნდი ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპზე?

„არ მსურს, რომელიმე გუნდის გამოყოფა. თუ რომელიმე მეტოქესთან მოვეშვებით, ეს ცუდად შემოგვიბრუნდება“ — ასე მიაჩნია დინამოელთა თავკაცს.

**დავით თავართქილაძე**


თბილისის „დინამომ“ მარბელას ტურნირი მოსკოვის „სპარტაკთან“ მოგებით დაასრულა

# შეხვედრა ჰაერში

## ალანიამ კანკავა მარბელაში მიიღო

**გუშინწინ** თბილისის „დინამოდან“ წასული და ვლადიკავკაზის „ალანიაში“ მისული 18 წლის ნახევარმცველი ჯაბა კანკავა ახლა, ამ სტრიქონებს რომ კითხულობთ, ეგებ უკვე ოსური კლუბის ფეხბურთელია. ყოველ შემთხვევაში, „დინამოს“ მმართველ დირექტორს დავით პეტრიაშვილსა და „ალანიას“ გენერალურ დირექტორს ალექსანდრ ალბეგოვს ქართველი ფეხბურთელის ტრანსფერზე საბოლოოდ წუხელ უნდა მოელაპარაკათ. თავად ჯაბა კანკავა და ოსები კი, როგორც შევიტყვეთ, პირობებზე უკვე შეთანხმებულნი ყოფილან.

ვლადიკავკაზის „ალანია“ ქართველი ნახევარმცველის „დინამოდან“ გადაბირებით ამ რამდენიმე თვის წინ დაინტერესდა, თუმც მაშინ ოსურ გუნდში გაურკვეველი ვითარება იყო, ხოლო „დინამო“ ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობდა.

ამასობაში კი, ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ კანკავასა და „დინამოს“ შორის მცირე კონფლიქტიც მოხდა ფეხბურთელს გუნდიდან წასვლა სურდა, „დინამო“ კი კანკავას კონტრაქტს უფრთხილდებოდა, ჩვენი ფეხბურთელი ხარ და არსად გაგიშვებთო. ამის მერე იყო, გულმოსული ჯაბა საფარის მონასტერში რომ წავიდა და ორი დღე იქ დარჩა, მისივე თქმით, სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ფეხბურთელმა თბილისის „დინამოს“ ღია წერილით მიმართა, ძალიან გთხოვთ, კარიერის ასაწყობად სხვა გუნდში თამაშის უფლება მომცეთო. ვერ გეტყვით, „დინამომ“ ფეხბურთელის წერილობითი თხოვნა გაითვალისწინა თუ სხვა რამ, ფაქტია, შვებულებიდან დაბრუნებულ გუნდს კანკავაც შეუერთდა და მზადება განაახლა, ის გუნდს ათდღიან კვიპროსულ შეკრებაზეც გაჰყვა და... კვიპროსიდან დაბრუნების შემდეგ კანკავასა და „დინამოს“ გზები გაიყო, გუნდი მარბელას ტურნირზე წავიდა, ჯაბა თბილისში დარჩა და ახალგაზრდულ ნაკრებში ითამაშა. მეორე დღეს კი მანაც მარბელასკენ გასწია, ოღონდ მაშინ, „დინამო“ უკან რომ ბრუნდებოდა. შესაძლოა, კანკავას მიმავალი და „დინამოს“ მომავალი თვითმფრინავები ერთდროულადაც კი იყვნენ ჰაერში.

ჯაბა კანკავასთან ერთად მარბელაში გაფრინდა ლადო ბურდულიც, ვინც „ალანიასთან“ კონტრაქტი ამ ორი კვირის წინ გააფორმა.

**კობა ინასარიძე**



# დევაძის ზესტაფონი სპარტაკზე ჰკიდია



**საქართველოს** ნაკრების მეკარე აკაკი დევაძე ალბათ „ზესტაფონში" ითამაშებს. ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთელი და კლუბი პირობებზე უკვე შეთანხმდნენ და კონტრაქტის გაფორმებას თბილისის „სპარტაკის" დასტურიღა სჭირდება.

ვინც არ იცის, შევახსენებთ, რომ დევაძე აქამდე „თბილისში" კი თამაშობდა, მაგრამ იურიდიულად „სპარტაკის" საკუთრებაა.

— „ზესტაფონის" ხელმძღვანელობას უკვე შევხვდი და ყველაფერზე მოვილაპარაკეთ. ხვალ „სპარტაკისა" და „ზესტაფონის" პრეზიდენტებიც შეხვდებიან ერთმანეთს და თუ შეთანხმდნენ, ტრანსფერიც შედგება — გვითხრა გუშინ დევაძემ.

აქვე გეტყვით, რომ დევაძისთვის „ზესტაფონი" უცხო გუნდი სულაც არაა — 1991-92 წლებში ის „ზესტაფონის" წინამორბედ „მარგვეთში" თამაშობდა.

**ბახა შალამბერიძე**

# დემეს ზონები არ მოსწონს

**დონეცკის „მეტალურგი"** ესპანურ მარბელაში ტესტ-მატჩების მოგებას დაეჩვია — უფრო სწორად, გიორგი დემეტრაძემ დააჩვია. ჩვენებურმა ჯერ „მარბელას", ერთი, შემდეგ კი რუსულ „სატურნს" ორჯერ გაუტანა.

„მეტალურგის" ვებ-გვერდის ცნობით, „დემე" ასეთ ფორმაში ჯერ არ ყოფილა. ვწერდით და გეხსომებათ, გიორგის ესპანური პრიმერადივიზიონის „მალაგაში" გადასვლას უწინასწარმეტყველებენ. მართალია, ანდალუზიური კლუბიდან ოფიციალურად დაინტერესებაზე ჯერ არაფერი ისმის, მაგრამ გამორიცხული არაა, ქართველი ფორვარდი ზაფხულში პრიმერადივიზიონს დაუბრუნდეს.



დემეტრაძე უკრაინელ ჟურნალისტებს „მეტალურგის" თავკაც სლავოლიუბ მუსლინზეც ესაუბრა — სერბი სპეციალისტი უფრო მეტ ყურადღებას ფიზიკურ მომზადებას აქცევს, ლამის ყველა ვარჯიშის მერე ქანცგაცლილები ვართო. უკრაინის ჩემპიონატის პირველ ეტაპზე გიორგი, შარშანდელ სეზონთან შედარებით, ნაკლებად შედეგიანი იყო — გოლები ძველებურად უხვად ვერ გაჰქონდა, თუმც საგოლე პასები ბლომად მოუგროვდა.

„შარშან ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გავხდი და მგონი, საკმარისია. ახლა კი საუკეთესო ასისტენტობას ვაპირებ — ეხუმრება დემეტრაძე ჩვენს უკრაინელ კოლეგებს — ყოველთვის ვერ გაიტან, ზოგჯერ პარტნიორებიც უნდა დაინახო".

მუსლინი გიორგის ხშირად ავალებდა „შავი სამუშაოს" შესრულებას, რაზეც იგი მწვრთნელის პირდაპირ გაკრიტიკებას ერიდება, თუმც მაინც მიანიშნებს: „ზოგიერთ მატჩში მუსლინი მარცხენა ფლანგიდან მათამაშებდა, ზოგჯერ ზონის გადაკეტვასაც მთხოვდა ლამის დაცვის ხაზამდე, მაგრამ ამ უჩვეულო პოზიციაზეც კი ცუდად არ ვთამაშობდი. ერთს კი ვიტყვი: მე ბავშვობიდან სუფთა თავდამსხმელი ვარ".

ცხადია, დემეტრაძე უკრაინელ ჟურნალისტებთან „მალაგას" არ ახსენებს და აცხადებს, „მეტალურგში" ყველაფრით კმაყოფილი ვარ და წლეულს ისევ უეფას თასზე გასვლას ვუმიზნებთო.

„ჩემპიონატში მესამე ადგილზე ვართ. ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ უეფას თასის გათამაშებას ძალიან მალე გამოვეთიშეთ და ეს გულს მტკენს. ახლა ევროპაში თამაშიც უნდა ვისწავლოთ".

**ილია ნანობაშვილი**

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტის განცხადება

გაცნობებთ, რომ სფფ-ს საფეხბურთო კლუბების ლიცენზირების კომიტეტი ა/წ 22-24 თებერვალს სფფ-ის ბასა ლოლობერიძის სახელობის ტექნიკურ ცენტრ „მცხეთაში" ატარებს სემინარს ლიცენზირების საკითხებთან დაკავშირებით.

გთხოვთ, ა/წ 14 თებერვლამდე წერილობით დაგვიდასტუროთ სემინარში თქვენი კლუბის წარმომადგენლების (ლიცენზირებაზე პასუხისმგებელი პირისა და ფინანსისტის) მონაწილეობა და შეგვატყობინოთ მათი ვინაობა.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

*სფფ-ის ლიცენზირების კომიტეტი*



*თოვლი კი არა, ქარბუქიც რომ იყოს, ზეგ ზესტაფონის სტადიონი უთუოდ შეივსება. სათასო მერვედფინალის საპასუხო მატჩში თემურ მახარაძის გუნდი თბილისის „დინამოს" დაუხვდება და სტუმრად ნაგებული 1:2-ის ამოქაჩვას შეეცდება. „ზესტაფონი" განწყობას არ უჩივის, ანთალიაში ნაყოფიერი ორკვირიანი შეკრება გაიარა და შემადგენლობაც გააძლიერა. თემურ მახარაძესთან საუბარიც თურქული ამბებით დავიწყეთ...*

# თემურ მახარაძე მრისხანე დინამოს ელის

## ცოტაც და, ძველ იონანიძეს ნახავთ

— ანთალიაში ძალიან შრომატევადი შეკრება გვქონდა. 9 ტესტ-მატჩი გავმართეთ და საკმაოდ ძლიერ მეტოქეებს ვეთამაშეთ, შედეგებიც ნორმალური იყო. თანაც, რაც მთავარია, გუნდის ძირითადი შემადგენლობა ჩამოყალიბდა.

**— ბოლო დღეებში ახალი ფეხბურთელი ხომ არ დაგმატებიათ, ან ვინმეზე ხომ არ არის საუბარი?**

— არა, „დინამოსთან" თამაში კარსაა მომდგარი და ახალი შენაძენები, ალბათ, აღარ იქნება. მხოლოდ ირაკლი ვაშაკიძე ვერ დავიმატეთ, იგი ანთალიაში ჩამოვიდა, ტესტ-მატჩშიც ითამაშა, თუმცა პირობებზე ვერ მოვილაპარაკეთ.

**— ანთალიაში ახალი ფეხბურთელებიც გყავდათ და მათ თამაშს როგორ შეაფასებთ?**

— გოცირიძე და განუგრავა ლიტვასთან მატჩისთვის საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც გამოიძახეს. რა თქმა უნდა, ისინი პერსპექტიული ბიჭები არიან და მათი იმედი გვაქვს. იონანიძემ ანთალიაში ბევრი გოლი კი გაიტანა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ იგი ძველებურ ფორმაშია. ზურაბი ხუთი თვის უთამაშებელი იყო და, ბუნებრივია, ეს დაეტყობოდა. თუმცა იგი ნელ-ნელა შედის ფორმაში და ვფიქრობ, მეორე ეტაპზე იმ იონანიძეს ვიხილავთ, როგორიც ქუთაისის „ტორპედოდან" გვახსოვს.

**— ესე იგი, „ზესტაფონის" დღევანდელი კონტინგენტი გაკმაყოფილებთ?**

— მწვრთნელს რაც უფრო კარგი შემადგენლობა ეყოლება, მით უკეთესი, თუმც ამ ეტაპზე დღევანდელი ბირთვით კმაყოფილი ვარ.

**— „დინამოსთან" სათასო მატჩში შანსებს როგორ შეაფასებთ?**

— რთული თამაში რომ გვექნება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. დინამოელებმა მარბელაში მოსკოვის „სპარტაკს" მოუგეს და ისეთ ძლიერ გუნდებს ეთამაშნენ, „ზენიტი" და „შახტარი" რომ არიან. მოკლედ, „დინამო" ტონუსშია, თუმც ჩვენ ჩვენსას ვეცდებით.

**— ჩემპიონატში რა გეგმები ექნება „ზესტაფონს"?**

— უმაღლეს ჯგუფში ადგილის შენარჩუნება. წინ 18 ტურია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ამიტომაც არ უნდა მოვეშვათ, თორემ აუტსაიდერები წამოგვეწევიან.

**ილია ნანობაშვილი**



ირაკლი ვაშაკიძე „ზესტაფონს" პირობებზე ვერ შეუთანხმდა

# იტალია

პაპუნა კედია

# ქულები ჩქარა!

**XXIV ტური**

**დღეს**

ლაციო : ატალანტა
ინტერი : რომა

**ხვალ**

ბრეშა : კალიარი
ლეჩე : კიევო
სიენა : მესინა
რეჯინა : მილანი
ბოლონია : პალერმო
ფიორენტინა : პარმა
ლივორნო : სამპდორია
იუვენტუსი : უდინეზე

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 23 | 15 | 5 | 3 | 38:14 | 50 |
| მილანი | 23 | 14 | 6 | 3 | 41:16 | 48 |
| უდინეზე | 23 | 12 | 4 | 7 | 32:21 | 40 |
| ინტერი | 23 | 8 | 15 | 0 | 44:29 | 39 |
| სამპდორია | 23 | 11 | 5 | 7 | 26:17 | 38 |
| რომა | 23 | 9 | 8 | 6 | 42:34 | 35 |
| პალერმო | 23 | 9 | 8 | 6 | 22:16 | 35 |
| კალიარი | 23 | 9 | 6 | 8 | 33:36 | 33 |
| რეჯინა | 23 | 8 | 8 | 7 | 24:25 | 32 |
| ბოლონია | 23 | 8 | 7 | 8 | 25:22 | 31 |
| ლეჩე | 23 | 7 | 8 | 8 | 39:42 | 29 |
| კიევო | 23 | 7 | 7 | 9 | 21:32 | 28 |
| ლივორნო | 23 | 7 | 6 | 10 | 25:30 | 27 |
| მესინა | 23 | 7 | 6 | 10 | 27:37 | 27 |
| ლაციო | 23 | 6 | 6 | 11 | 29:35 | 24 |
| ფიორენტინა | 23 | 5 | 8 | 10 | 21:30 | 23 |
| პარმა | 23 | 5 | 8 | 10 | 24:37 | 23 |
| სიენა | 23 | 3 | 12 | 8 | 21:33 | 21 |
| ბრეშა | 23 | 5 | 5 | 13 | 15:29 | 20 |
| ატალანტა | 23 | 2 | 8 | 13 | 16:30 | 14 |

**ორი** თამაშის წაგება რვაქულიანი უპირატესობის ორ ქულამდე შემცირებად რომ დაუჯდა „იუვენტუსს", ვიცით და ამაზე დიდხანს საუბარი არ გვილირს. ახლა კი ისაა საინტერესო, თუ რას იზამს „ბებერი ქალბატონი" „უდინეზესთან". აქ, მნიშვნელოვანია, რომ „უდინეზე" ჩინებულ ფორმაშია, ხოლო ქულებს ერთი თვისება აქვს, მუდამ შემატება სჭირდება.

ერთი სიტყვით, ხვალ, საქართველოს დროით საღამოს ხუთ საათზე, ტურინის „სტადიო დელე ალპიზე" „იუვე" მესამე ადგილზე მყოფ უდინელებს უმასპინძლებს და მასპინძელთა შემადგენლობაში დისკვალიფიკაციამოხდილი მაურო კამორანეზი დაბრუნდება, მაგრამ ოლივიე კაპო და, რაც მთავარია, პაველ ნედვედი ისევ არ იქნებიან.

თავდასხმაში ფაბიო კაპელო სავარაუდოდ, ისევ დავიდ ტრეზეგესა და ზლატან იბრაჰიმოვიჩის წყვილს ათამაშებს, ხოლო ალესანდრო დელ პიერო — მიუხედავად იმისა, რომ ტურინული გუნდის თილისმად არის მიჩნეული — ძველებურად სათადარიგოთა სკამზე ჩამოჯდება.

„უდინეზე" ორი გამარჯვებით გახლავთ წახალისებული, რასაც ანტონიო დი ნატალეს, დავიდე დი მიკელესა და „იუვენტუსის" ტრანსფერ-მიზნის, ვინჩენცო იაკინტას დიდებული თამაში ემატება. შეგახსენებთ, რომ „უდინეზეში" თამაშობს საკმაოდ კარგი ჩეხი ჰავბეკი მარეკ იანკულოვსკი, რომელიც „დელე ალპის" პატრონს ეჭვი არ არის, აგრეთვე ბევრ სირთულეს შეუქმნის.

ჩემპიონი „მილანი" რეჯო კალაბრიაში ჩადის და, რამდენადაც სავარაუდო შემადგენლობაში ვკითხულობთ, კახა კალაძის თამაშს აპირებს. სახელების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ „შავ-წითლებმა" ულაპარაკოდ უნდა აიღონ სამი ქულა, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ეს იტალიაა, სადაც ყველას ყველასთან შეუძლია ქულების მოპოვება და განიავება, რისი დასტურიც იმავ „მილანის" იანვრის მატჩებია, გნებავთ „ლივორნოში" და გნებავთ „ბოლონიაში".

მოდით, კიდევ უფრო რთული სურათი დავხატოთ: „რეჯინას" უკვე შვიდი თამაშია არ წაუგია, ხოლო „იუვენტუსისა" და „რომას" დამარცხების შემდეგ, შეიძლება ვთქვათ, რომ არც გრანდების დანახვაზე უკანკალებს მუხლები. ერთადერთი, რაც „რეჯინას" აწუხებს, თავდამსხმელ ჯუზეპე კოლუჩის ამბავია, ის ან ითამაშებს ან არა.

„მილანის" თავკაცი კარლო ანჩელოტი კი როგორც ჩანს, მარჯვენა მცველობით უკმაყოფილო სტამის ნაცვლად გამოცდილ „მემარჯვენეს", კაფუს დააბრუნებს. თავდასხმას, უფრო სწორად ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდება ანდრეი შევჩენკო, რომელიც კრესპოს შეუწყვილდება. „შავ-წითელთა" შორის ვერ ვიხილავთ ანდრეა პირლოს, იგი რუსებთან, სანაკრებო მატჩში დაშავდა.

რაც შეეხება „მილანისგან" თავისუფალ „სან სიროზე" „ინტერისა" და „რომას" დაპირისპირებას, ამ შეხვედრაში აბსოლუტურად ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

„ინტერს" არ ეყოლება მარკო მატერაცი, მცველი, რომელიც წინა შეხვედრაში, „პარმასთან" მეკარესავით გადახტა, ბურთი ხელით მოიგერია და ამისათვის, ბუნებრივია გააძევეს. თავდასხმაში რობერტო მანჩინი სავარაუდოდ სამ ფეხბურთელს გამოიყვანს. კერძოდ, ისინი იქნებიან ადრიანო, კრისტიან ვიერი და ორიდან ერთი, „ობაფემი მარტინსი ან ალვარო რეკობა. „პარმასთან" შეხვედრაში დასვენების შემდეგ, „შავ-ლურჯების" ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდება ესტებან კამბიასოც.

„რომაში" კი თითქმის ყველაფერი უფრო მარტივადაა: ანტონიო კასანოზე ამბობენ, რომ ნატკენ მუხლს დროზე მოიშუშებს და თავდასხმაში ვინჩენცო მონტელას და ფრანჩესკო ტოტის ამოუდგება მხარში, სიმონე პეროტა დისკვალიფიცირებულ ოლივიე დაკურის ადგილს დაიკავებს. კარში ჩადგომას კი ერთმანეთს ივან პელიცოლი და კარლო ძოტი ეცილებიან.



ფაბიო კაპელო ალესანდრო დელ პიეროს ისევ სათადარიგოთა სკამზე დასვამს, პაველ ნედვედს კი ტრავმის გამო მოისაკლისებს

# ტონი შმარჩიეთ, დონ მარჩელო, ტონი გვიდოლინის გაუგრძელებენ



**სერია A-ს** მიმდინარე გათამაშებაში მოვლენები ძალიან საინტერესოდ ვითარდება. ვერავინ იტყვის, ჩემპიონატის 20 გუნდამდე გაზრდამ არ გაამართლაო, იტალიის თითქმის ყველა მხარეს ჰყავს თავისი წარმომადგენელი, ეს კი ტურნირს დამატებით ინტრიგას სძენს.

ჩემპიონატი აშკარად გაახალისეს სიცილიურმა კლუბებმა, „მესინამ" და „პალერმომ". განსაკუთრებულ სიმპათიას კი ვინძლო უკანასკნელი იმსახურებდეს, რადგან გუნდი ახლა მე-7 ადგილზეა და მესამეზე მყოფ „უდინეზეს" მხოლოდ 5 ქულით ჩამორჩება. თანაც „პალერმოს" ამბიციური ხელმძღვანელობა მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებს.

სიცილიელთა პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი ცხადია, შედეგებით კმაყოფილია და გუნდის მთავარ მწვრთნელ ფრანჩესკო გვიდოლინისთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. არადა, დაახლოებით ერთი თვის წინ იტალიის თასზე, „მილანთან" რომ წააგეს, გვიდოლინის კლუბიდან წასვლა თითქოს გადაწყვეტილი იყო.

„ახლა გუნდში მშვენიერი განწყობაა, რაც ჩვენს თამაშზეც აისახება. იმედი გვაქვს, რომ სულ ცოტა, უეფას თასის საგზურს მოვიპოვებთ. არადა, თავიდან მხოლოდ ელიტაში ადგილის შენარჩუნებაზე იყო საუბარი. ჩემი კონტრაქტის გახანგრძლივებაზე მართლა მიმდინარეობს მოლაპარაკება და ვფიქრობ, ახალი შეთანხმება უახლოეს მომავალში გაფორმდება" — თქვა გვიდოლინიმ.

ამასთანავე, „პალერმოს" მმართველი არც გუნდის წამყვან მოთამაშეებთან განშორებას აპირებს. პირიქით, მისი თქმით, მომავალ ზაფხულს „რენცო ბარბერას" ბინადრები უფრო გაძლიერდებიან. ხოლო, მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, რომ „იუვენტუსი" უკვე მოელაპარაკა „პალერმოს" ანდრეა ბარძალის ტრანსფერზეო, სიცილიელთა სპორტულმა დირექტორმა რინო ფოსკიმ უარყო.

რინო ფოსკი: „იუვენტუსთან", სერია A-ს გუნდების უმეტესობის მსგავსად, მშვენიერი ურთიერთობა გვაქვს, თუმც არანაირი შეთანხმება არ არსებობს. ანდრეა ბარძალის, ლუკა ტონის, სიმონე ბარონესა და კრისტიან ძაკარდოს დარ მოთამაშეებს კი არ ვყიდით, არამედ მათ შეძენას ვგეგმავთ".

„პალერმოს" ერთ-ერთი ლიდერი და წამყვანი ფორვარდი ლუკა ტონი კი ეროვნული გუნდისკენ მიისწრაფვის: „მინდა, „სკუადრა ადურას" მაისურა ისევ მოვირგო და მჯერა, შანსი კიდევ მექნება. ფეხბურთელებს ცხადია, მწვრთნელი არჩევს და მე ეს ძალიან კარგად მესმის. მარჩელო ლიპიმ ამჟამად ვინჩენცო მონტელას გამოძახება ამჯობინა და სამართლიანადაც, ვინჩენცო ხომ დღეს სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირია. ჩემს პოზიციაზე კიდევ არაერთი კარგი მოთამაშეა, მაგრამ ყველანაირად ვეცდები, ისეთი თამაში ვაჩვენო, რომ ლიპიმ უყურადღებოდ არ დამტოვოს".

**გიორგი ძაძამიძე**



ანდრეა პირლო „მილანს" რამდენიმე კვირით დააკლდება

# შეუცვლელი არავინაა
## ვინ გაიპიროვნებს პირლოს?

**იტალიისა** და რუსეთის ნაკრებების მატჩისას დაშავებული ანდრეა პირლო მინდორს დაახლოებით ორ კვირაში დაუბრუნდება. მისი ტრავმა არც ისე სერიოზული გამოდგა, როგორც თავიდან ვარაუდობდნენ. „მილანის" საყრდენი ნახევარმცველი ოპერაციასაც გადაურჩა და თვენახევრიან პაუზასაც. თუმც ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალური შეხვედრის გამოტოვება მოუწევს — „მანჩესტერ იუნაიტედის" გარდა, პირლო „რეჯინასთან" და „კალიარისთან" მატჩებსაც გამოტოვებს, მის დაბრუნებას კი 27 თებერვალს, „ინტერთან" დერბისთვის ვარაუდობენ.

„ანდრეამ მუხლი დაიზიანა. რა თქმა უნდა, ეს დიდი დანაკარგი და სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ერთი ფეხბურთელის დაშავებამ საგონებელში არ უნდა ჩაგვაგდოს. გუნდი მაღალი კლასის მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული და ძირითადში მისი შეცვლა ღირსეულად ყველას შეუძლია" — განაცხადა „მილანის" მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ.

„როსონერის" თავკაცი სავარაუდოდ თავის საყვარელ სქემას 4-3-1-2-ს ტრადიციული 4-4-2-ით შეცვლის. პირლოს ადგილს კი ვიკამ დორასო ან მასიმო ამბროზინი დაიკავებს. უფრო მეტი შანსი ფრანგ ნახევარმცველს აქვს, რადგანაც დორასო ბოლო დროს ჩინებულად ათამაშდა.

**გიორგი ძაძამიძე**

| XXVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ევერტონი | : | ჩელსი |
| პორტსმუთი | : | ასტონ ვილა |
| ბლექბერნი | : | ნორვიჩი |
| ბირმინგემი | : | ლივერპული |
| ბოლტონი | : | მიდლსბრო |
| **ხვალ** | | |
| სიტი | : | მანჩესტერი |
| **ზეგ** | | |
| არსენალი | : | კრ. პალასი |
| **გადაიდო** | | |
| ვესტ ბრომვიჩი | : | საუთჰემპტონი |
| ჩარლტონი | : | ტოტენჰემი |
| ფულემი | : | ნიუკასლი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 26 | 20 | 5 | 1 | 49:8 | 65 |
| მანჩესტერი | 26 | 16 | 8 | 2 | 43:16 | 56 |
| არსენალი | 26 | 16 | 6 | 4 | 58:30 | 54 |
| ევერტონი | 26 | 14 | 6 | 6 | 31:27 | 48 |
| ლივერპული | 26 | 13 | 4 | 9 | 41:27 | 43 |
| მიდლსბრო | 26 | 11 | 7 | 8 | 41:35 | 40 |
| ბოლტონი | 26 | 11 | 6 | 9 | 35:32 | 39 |
| ჩარლტონი | 26 | 11 | 5 | 10 | 30:36 | 38 |
| ტოტენჰემი | 26 | 10 | 6 | 10 | 33:30 | 36 |
| სიტი | 26 | 8 | 9 | 9 | 31:27 | 33 |
| ასტონ ვილა | 26 | 8 | 8 | 10 | 29:33 | 32 |
| ნიუკასლი | 26 | 7 | 10 | 9 | 37:43 | 31 |
| პორტსმუთი | 26 | 8 | 6 | 12 | 29:38 | 30 |
| ბირმინგემი | 26 | 7 | 8 | 11 | 29:33 | 29 |
| ფულემი | 26 | 8 | 5 | 13 | 33:44 | 29 |
| ბლექბერნი | 26 | 5 | 10 | 11 | 21:36 | 25 |
| კრ.პალასი | 26 | 5 | 7 | 14 | 29:40 | 22 |
| ნორვიჩი | 26 | 3 | 11 | 12 | 26:49 | 20 |
| საუთჰემპტონი | 26 | 3 | 10 | 13 | 28:43 | 19 |
| ვესტ ბრომვიჩი | 26 | 2 | 11 | 13 | 23:49 | 17 |

## ინგლისი

*ირაკლი გამყრელიძე*

# ეს მიტინგი არაა, ეს დერბია




მანჩესტერულ დერბიში ჩხუბი და აყალ-მაყალი არახალია

**ეს ძალიან** მაგარი ტურია: გინდაც იმით დაიწყე, რომ მანჩესტერული დერბის დღეა და თამაში „იუნაიტედის“ საბჭოს სხდომის მეორე დღეს ტარდება ანუ მას შემდეგ, რაც ამერიკელი მილიარდერი მალკოლმ გლეიზერი კიდევ ერთხელ ეცდება კლუბის ხელში ჩაგდებას.

ამიტომაც, „სიტის“ გულშემატკივრებმა პირდაპირ სთხოვეს „იუნაიტედის“ გულშემატკივრებს, ამ უმნიშვნელოვანეს თამაშს ანტიგლეიზერულ მიტინგად ნუ გადააქცევთო.

ისე კი, „სიტიმ“ გასულ ტურში დიდად კაი პატივი სცა „იუნაიტედს“, როცა ლიდერი „ჩელსი“ მისსავე „სტემფორდ ბრიჯზე“ უგოლო ფრით გააწამა.

დღეს „სიტი“ მასპინძელია და თუმც, პოლ ბოსველტი არ ეყოლება მეხუთე გაფრთხილების გამო, მაინც მოგებისთვის იბრძოლებს. „იუნაიტედს“ კი ოქტომბრის შემდეგ არ წაუგია და „ჩელსის“ უკვე მხოლოდ 9 ქულით ჩამორჩება. სტუმრებს კვლავაც არ ეყოლებათ ტრავმირებულები: რუუდ ვან ნისტელროი და ალან სმიტი, მიკაელ სილვესტრი კი დასჯილია.

„ჩელსის“ მძიმე თამაში ელის „გუდისონ პარკზე“. პირველ წრეში [illegible] ძლივს დაამარცხა „ევერტონი“, რომელიც ბოლოხანს ქულათა კარგვის მიუხედავად, მაინც მეოთხე ადგილზეა. „ევერტონის“ სასტარტოში ეგებ დებიუტი ჰქონდეს ესპანელ მიკელ არტეტას, „ჩელსის“ კი კვლავ არ ეყოლება არიენ რობენი. ჯონ ტერი და უეინ ბრიჯი კი ეგებ ჯანზეც იყვნენ სანაკრებო თამაშის შემდეგ.

„ლივერპული“ „ბირმინგემს“ სტუმრობს და ამ უკანასკნელს ძალიან სჭირდება ქულები, რათა სახიფათო ზონას მოშორდეს. ამისთვის მასპინძლებს მზადა ჰყავთ გამოჯანმრთელებული ექს-ლივერპულელი ემილ ჰესკი. საკუთრივ „ლივერპულს“ კი ამ სეზონში ჯერ არ მოუგია გადაბმულად სამი თამაში და ფიქრობს, რომ ახლა მოახერხოს ეს, მითუმეტეს, რომ ფერნანდო მორიენტესი ბრწყინვალე ფორმაში ჰყავს.

„არსენალი“ მასპინძლობს მეტად საინტერესო „კრისტალ პალასს“, რომელთანაც ძალიან გაუჭირდა პირველ წრეში. „არსენალმა“ საუკეთესოდ ითამაშა წინა ტურში, „ვილა პარკზე“. დღეს კი მოედანზე იქნება სეზონის ორი მთავარმეგოლე, ტიერი ანრი და პალასელი ენდრიუ ჯონსონი, რომელსაც ამ კვირაში სანაკრებო დებიუტი ჰქონდა. თამაში ემთხვევა იმ ამბავს, რომ „მეთოფე“ ხოსე ანტონიო რეიესმა მადრიდის „რეალში“ გადასვლის სურვილი გამოთქვა.

კარგი ჯახია ბოლტონშიც, სადაც იქაურები „მიდლსბროს“ ელიან და უეფას ზონისთვის ჭიდაობენ. ცხრილის მეზობელთა ვითარება ასეთია: „ბოლტონს“ ბოლო ხუთი თამაში მოგებული აქვს, „ბორომ“ კი ახალი წლის შემდეგ პირველად წინა კვირას მოიგო. სტუმრებს არ ეყოლებათ დასჯილი რეი პარლოუ, ფეხმოტეხილი მალკოლმ კრისტი, დიდი ხნის ტრავმიანი მარკ ვიდუკა და დისკვალიფიცირებული ბუდევინ ზენდენი.

| XXI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| დორტმუნდი | : | ბოხუმი |
| ფრაიბურგი | : | ჰანოვერი |
| ვერდერი | : | გლადბახი |
| შალკე | : | ვოლფსბურგი |
| ლაუტერნი | : | ჰანზა |
| ჰამბურგი | : | შტუტგარტი |
| ჰერტა | : | ნიურნბერგი |
| **ხვალ** | | |
| ლევერკუზენი | : | მაინცი |
| არმინია | : | ბაიერნი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 20 | 12 | 5 | 3 | 38:20 | 41 |
| შალკე | 20 | 12 | 2 | 6 | 30:26 | 38 |
| შტუტგარტი | 20 | 10 | 5 | 5 | 38:26 | 35 |
| ვერდერი | 20 | 10 | 4 | 6 | 43:25 | 34 |
| ჰერტა | 20 | 8 | 9 | 3 | 33:17 | 33 |
| ლევერკუზენი | 20 | 9 | 5 | 6 | 35:27 | 32 |
| ჰამბურგი | 20 | 10 | 1 | 9 | 35:30 | 31 |
| ჰანოვერი | 20 | 9 | 4 | 7 | 26:22 | 31 |
| ვოლფსბურგი | 20 | 10 | 0 | 10 | 35:32 | 30 |
| ლაუტერნი | 20 | 8 | 4 | 8 | 28:28 | 28 |
| დორტმუნდი | 20 | 6 | 7 | 7 | 23:25 | 25 |
| არმინია | 20 | 7 | 4 | 9 | 20:26 | 25 |
| ნიურნბერგი | 20 | 6 | 6 | 8 | 34:34 | 24 |
| გლადბახი | 20 | 6 | 6 | 8 | 25:33 | 24 |
| მაინცი | 20 | 6 | 4 | 10 | 27:35 | 22 |
| ბოხუმი | 20 | 3 | 7 | 10 | 26:42 | 16 |
| ფრაიბურგი | 20 | 3 | 6 | 11 | 17:41 | 15 |
| ჰანზა | 20 | 2 | 7 | 11 | 17:41 | 13 |

## გერმანია

*პაპუნა კედია*

# შალ-შალკე ყველას იმედი აქვს




რალფ რანგნიკს დისკვალიფიკაციამოხდილი ლევან კობიაშვილის იმედიც აქვს

**გელზენკირხენულ** „შალკეს“ ტრავმების პრობლემა უდგას, რის გამოც დღეს, „ვოლფსბურგს“ შეფიქრიანებული მასპინძლობს, თუმცა მეორე მხრივ, წესით საკუთარი ძალების რწმენა არ უნდა აკლდეს, რადგან ოქტომბრის მერე, რაც მწვრთნელად რალფ რანგნიკი დანიშნეს, გუნდმა საწყისი ათი შეხვედრიდან ცხრა მოიგო და ბუნდესჩემპიონობასაც უმიზნებს. სხვა ამბავია, რომ ბოლო ოთხ შეხვედრაში გელზენკირხენელებმა მხოლოდ ერთხელ შეძლეს გამარჯვება და ბოლო ტურში, როსტოკის „ჰანზასთან“ ნათამაშევმა 2:2-მა („ჰანზა“ კი ცხრილის ბოლოში გახლავთ) მიუნხენის „ბაიერნს“ სამი ქულით ჩამორჩინა.

ახლა ასეა: „ბაიერნი“ კვირამდე არ თამაშობს და ამიტომ, თუ „შალკე“ „ვოლფსბურგის“ დამარცხებას შეძლებს, კვირამდე მაინც დაეწევა მიუნხენურ გუნდს. თუ პირიქით მოხდება ანუ თუ გელზენკირხენელები წააგებენ, მაშინ „ბაიერნი“ არც მეტი, არც ნაკლები, ექვსი ქულით დაწინაურების შანსს მიიღებს — ამისათვის მან ბილეფილდში, „არმინიას“ უნდა მოუგოს.

რალფ რანგნიკი: „ბოლო ტურებში ქულების უაზროდ დაკარგვამ ძალიან გამაწბილა. ახლა „ვოლფსბურგთან“ უცილობელი გამარჯვება გვჭირდება. მართალია, მეტოქეს წარუმატებლობების ხანა უდგას, მაგრამ ამან არ უნდა მოგვატყუოს. სწორედ ამიტომ შეიძლება ის გაცილებით სახიფათო გახდეს“.

რანგნიკს არ ეყოლება გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი ჯერალდ ასამოა და ბრაზილიელი მცველი მარსელო ბორდონი.

რაც შეეხება „ვოლფსბურგს“, მან ახალ წელიწადში სამივე თამაში წააგო და ამ სერიის დასრულებას აპირებს, მაგრამ ეს დაშავებული არგენტინელი გამთამაშებლის, ანდრეს დალესანდროს გარეშე როგორ გამოუვა, ძნელი საკითხავია.

„დორტმუნდი“, რომელმაც 2005 წლის სამ შეხვედრაში ჰაერივით საჭირო შვიდი ქულა აიღო და გავარდნის საშიშროებას ასცდა, „ბოხუმს“ ეთამაშება, „ფრაიბურგი“ კი გასაჭირშია და ხან კარგად, ხან კი ცუდად მოთამაშე „ჰანოვერს“ აუცილებლად უნდა აჯობოს. ფრაიბურგელთა სამწუხაროდ, მთელი საწვრთნელი კვირა გამოტოვა საქართველოს ნაკრების მცველმა ოთარ ხიზანეიშვილმა, რომელიც ალბათ არ ითამაშებს.

„შტუტგარტი“, საახალწლო არდადეგების შემდეგ ნამდვილად არ ბრწყინავს, რის გამოც ახლა ჰამბურგში მოგება დიდ საქმეს გაუკეთებდა, მაგრამ მოდი ნუ დაგვავიწყდება, რომ „ჰამბურგმა“ ბოლო ორი თამაში მოიგო და მეშვიდე ადგილზეც ავიდა.

ბერლინის „ჰერტამ“ ბოლო ტურში „მაინცს“ სტუმრად, ჩინებულად მოუგო 3:0 და მომავალი სეზონიდან ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას აპირებს. მის მეტოქეს, „ნიურნბერგს“ კი ნახევარმცველები, ტომი სვინდალ- ლარსენი და პეკა ლაგერბლომი არ ეყოლება.

კიდევ, შეგვიძლია გამოვარჩიოთ ჩემპიონ „ვერდერისა“ და მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ შეხვედრაც. საქმე ისაა, რომ „ვერდერს“ თვალი ისევ ტიტულისკენ უჭირავს, მითუფრო, ბოლო ტურში „ვოლფსბურგის“ დამარცხების შემდეგ, მაგრამ ბოდიში და „ბორუსიას“ მეორე წრეში თამაში ჯერ არ წაუგია...

| XXIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სარაგოსა | : | ბარსელონა |
| ვალენსია | : | დეპორტივო |
| **ხვალ** | | |
| მალიორკა | : | ალბასეტე |
| ბილბაო | : | ბეტისი |
| ოსასუნა | : | რეალი |
| რასინგი | : | სოსიედადი |
| ესპანიოლი | : | ხეტაფე |
| ატლეტიკო | : | ლევანტე |
| სევილია | : | ვილიარეალი |
| ნუმანსია | : | მალაგა |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 22 | 16 | 3 | 3 | 43:16 | 51 |
| რეალი | 22 | 15 | 2 | 5 | 41:16 | 47 |
| ვალენსია | 22 | 10 | 8 | 4 | 35:21 | 38 |
| სევილია | 22 | 11 | 5 | 6 | 26:23 | 38 |
| ვილიარეალი | 22 | 10 | 7 | 5 | 37:18 | 37 |
| ბეტისი | 22 | 10 | 7 | 5 | 33:24 | 37 |
| ესპანიოლი | 22 | 10 | 5 | 7 | 26:24 | 35 |
| ატლეტიკო | 22 | 9 | 5 | 8 | 24:20 | 32 |
| ბილბაო | 22 | 8 | 7 | 7 | 33:28 | 31 |
| დეპორტივო | 22 | 6 | 11 | 5 | 31:31 | 29 |
| ოსასუნა | 22 | 8 | 5 | 9 | 33:37 | 29 |
| სარაგოსა | 22 | 8 | 4 | 10 | 28:34 | 28 |
| ხეტაფე | 22 | 7 | 5 | 10 | 22:25 | 26 |
| ლევანტე | 22 | 7 | 4 | 11 | 25:36 | 25 |
| სოსიედადი | 22 | 6 | 5 | 11 | 26:33 | 23 |
| ალბასეტე | 22 | 5 | 8 | 9 | 20:30 | 23 |
| მალაგა | 22 | 6 | 4 | 12 | 15:30 | 22 |
| რასინგი | 22 | 5 | 6 | 11 | 20:33 | 21 |
| მალიორკა | 22 | 4 | 6 | 12 | 21:36 | 18 |
| ნუმანსია | 22 | 3 | 5 | 14 | 13:37 | 14 |

# ესპანეთი

*ლადო ხომერიკი*

## თუ მესტალიაზე ღრიალი გაიგებთ...



ხავიერ ირურეტა შეგირდებს თავდადებისკენ მოუწოდებს

„**თქვენ** სტუმრად თამაშობთ, მაგრამ ნუ შეშინდებათ. გაიხსენეთ, თუ რა უქნა წინა ტურში „ატლეტიკომ“ „ბარსელონას“ მისსავე „კამპ ნოუზე“. მთავარია, ჩვენ ჩვეული სტილით ვითამაშოთ, ხოლო იმას, თუ ტრიბუნაზე ვისი გულშემატკივარი სჭარბობს, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მატჩს ფეხბურთელები იგებენ და არა ინჩასები“ — ასე დამოძღვრა ხავიერ ირურეტამ „დეპორტივო“ ვალენსიაში გამგზავრების წინ.

ხოლო, უკვე იქ ჩასულმა ირურეტამ მერე განმარტა: „ვალენსია“ მძლავრი გუნდია, თუმც, დარწმუნებული ვარ, ჩემი ბიჭები ძლიერ მეტოქესთან უფრო მობილიზებულნი იქნებიან. წაგებაზე არავინ ფიქრობს, მაგრამ „მესტალიაზე“ რომ გასეირნებას არ ველით, ესეც ვიცით“. სტუმრებს ტრავმირებულები არ ჰყავთ და ძირითადი შემადგენლობით იომებენ.

„ვალენსია“ ახლა ლიდერ „ბარსელონას“ მთელი 13 ქულით ჩამორჩება, რასაც იტალიელი კლაუდიო რანიერის თანამემამულე ამადეო კარბონი ალუშფოთებია. 37 წლის ვეტერანი მცველი ამბობს: [illegible] „ბარსა“ ჩვენზე წინ ასე ძალიან რატომაა. ადრეც ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, რომ შესანიშნავი გუნდი გვყავს. უბრალოდ, ჩვენივე შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებაა საჭირო“.

ფრანსისკო რუფეტემ კი „მარკასთან“ ინტერვიუში „დეპორტივო“ დაჭრილ მხეცს შეადარა: „დიახ, „დეპორი“ ახლა დაჭრილი დათვივითაა, თითქოს ძველებურად ველარ ტორავს მოწინააღმდეგეთ, მაგრამ იქაური ფეხბურთელები კვლავაც ჩინებულ ფორმაში არიან. ყურადღების მოდუნება ძვირად დაგვიჯდება.“ მასპინძლებს დავიდ ნავარო არ ეყოლებათ.

დღესვე, ფრანკ რაიკარდის „ბარსელონა“ ქვეყნის თასის ჯერაც მფლობელ „სარაგოსას“ სტუმრობს. დამხვდურებს დისკვალიფიცირებულები — დავიდ ვილა, ლუის გარსია და ოსკარი არ ეყოლებათ. ასე, რომ „სარაგოსას“ მწვრთნელ ვიქტორ მუნიოსს გუნდის ძირეულად გადახალისება მოუწევს, რადგან ზემოხსენებული სამეული ძირითადის წევრია.

ლიდერი კი ერთი კვირის წინანდელი ლაქის ჩამოწმენდას ეცდება. თუ „ბარსას“ უახლოეს მდევართან, მადრიდის „რეალთან“ სულ ცოტა, ოთხქულიანი ჰანდიკაპის შენარჩუნება სურს „რომარედაზე“ უცილობლად უნდა მოიგოს.

მდევარი „რეალი“ „ოსასუნასთან“ ლუიშ ფიგუს გარეშე ითამაშებს — პორტუგალიელი დაჯარიმებულია. ასევე დისკვალიფიცირებულია პამპლონელი პაბლო კორალესიც.

ბოლოხანს, ძალიან კარგად ათამაშებული „ვილიარეალი“ „სანჩეს პისხუანზე“ იქაურ „სევილიასთან“ თამაშობს. „ყვითლებს“ წაგება აშკარად გადაავიწყდათ — „ვილიარეალი“ ბოლოს, შარშანდელ ნოემბერში დამარცხდა. თანაც „სევილიას“ დაშავებული პაბლო რუისი ვერ დაეხმარება, ხოლო ჟულიო ბაპტისტა და რენატო თავ-თავიანთი ნაკრებებიდან დაღლილ-დაქანცულნი დაბრუნდნენ.

# იქ, სადაც რეალი არ უყვართ



ემილიო ბუტრაგენიო

*მადრიდის „რეალის“ პამპლონაში სტუმრობა საფეხბურთო ესპანეთში გამორჩეული ამბავია. „ელ გალაქტიკოს“ სიძულვილში იქაურები ბარსელონელებსა და ბილბაოელებსაც კი ეჯიბრებიან. ამიტომაცაა, საკვირაო „ოსასუნა“ — „რეალი“ სარისკო მატჩად რომ მონათლეს. პამპლონის 20-ათასიანი „ელ სადარი“ გადაჭედილი იქნება და ათასობით ნავარელი თავისიანებს მადრიდელთა ნაქცევაში დაეხმარება. მეხუთე სეზონია, „რეალს“ პამპლონაში არ გაუმარჯვია, ამ საქმეში ლომის წილი სწორედ „ოსასუნას“ ქომაგებს უდევთ.*

*სამეფო გუნდი კი მოგების იმტაზეა — ზედიზედ ხუთ მატჩში იმარჯვა და „ატლეტიკოსთან“ ფეხდაცდენილ პრიმერას ლიდერ „ბარსელონას“ ახლა ოთხი გოლითღა ჩამორჩება. ბრაზილიელმა ვანდერლეი ლუშემბურგომ მადრიდელებს საკუთარი თავის რწმენა და საჩემპიონო შანსი დაუბრუნა. იმედიანადაა ვიცე-პრეზიდენტი ემილიო ბუტრაგენიოც, რომელიც პამპლონაში ნასვლის წინ კლუბის ვებ-გვერდის კორესპონდენტს ესაუბრა*

— პრიმერადივიზიონში ვითარება „რეალისთვის“ სასიკეთოდ შეიცვალა, გუნდს ჩემპიონობის არცთუ ურიგო შანსი გაუჩნდა...

— გეთანხმებით, მაგრამ წინ ურთულესი მატჩები გველის — „ოსასუნა“, „დეპორტივო“ და „ვალენსია“ იოლად არაფერს დაგვითმობენ. ამას დავუმატოთ ჩემპიონთა ლიგაში „იუვენტუსთან“ დაპირისპირება. თუმც ახლა გუნდი უკეთ თამაშობს და მჯერა, მეტიც შეუძლია. დიდი სამუშაო გასწიეს არიგო საკიმ და ვანდერლეი ლუშემბურგომ, სწორედ მათი დამსახურებაა „რეალის“ მოფერიანება.

**— ფეხბურთელებიც ამბობენ, რომ ლუშემბურგომ მათ გამარჯვებულის ფსიქოლოგია დაუბრუნა...**

— მართალიცაა, „სოსიედადთან“ შვიდწუთიანი მოგებული მატჩის მერე ყველამ ირწმუნა საკუთარი შესაძლებლობებისა.

**— „ბარსელონა“ „რეალის“ სუნთქვას გრძნობს და ამიტომ ცდება?**

— არ მინდა „ბარსელონაზე“ ლაპარაკი. მე იმით ვარ კმაყოფილი, რომ ფეხბურთელები ჩვეულ ფორმას იბრუნებენ. მაგალითად, ზინედინ ზიდანი სეზონის დასაწყისში ვერ ბრწყინავდა, მაგრამ ახლა შეუდარებელია.

**— ხუან ლაპორტა „ბარსელონას“ ჩემპიონობაზე ლაპარაკობს.**

— ცხადია, ასეც უნდა ილაპარაკოს. ლაპორტა „ბარსას“ პრეზიდენტია და თავის ფეხბურთელებს აგულიანებს.

**— პამპლონაში ურთულესი მატჩი გელით...**

| 13003 | ბლექბერნი-ნორვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 13004 | ბირმინგემი-ლივერპული | 1.7 | 1.9 |
| 13005 | ბოლტონი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 13006 | სიტი-მანჩესტერი | 1.7 | 1.9 |
| 13007 | არსენალი-კრისტალ პალასი | 1.9 | 1.7 |
| 13075 | ვერდერი-მიონხენგლადბახი | 1.6 | 2.1 |
| 13076 | ჰერტა-ნიურნბერგი | 1.6 | 2.1 |
| 13077 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1.6 | 2.1 |
| 13078 | შალკე-ვოლფსბურგი | 1.6 | 2.1 |
| 13079 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1.6 | 2.1 |
| 13080 | ფრაიბურგი-ჰანოვერი | 1.6 | 2.1 |
| 13081 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1.6 | 2.1 |
| 13082 | ლევერკუზენი-მაინცი | 1.7 | 1.9 |
| 13083 | არმინია-ბაიერნი | 1.6 | 2.1 |
| 13094 | ლაციო-ატალანტა | 1.7 | 1.9 |
| 13095 | ინტერი-რომა | 1.5 | 2.2 |
| 13096 | ლივორნო-სამპდორია | 1.7 | 1.9 |
| 13097 | იუვენტუსი-უდინეზე | 1.7 | 1.9 |
| 13098 | ბრეშა-კალიარი | 1.7 | 1.9 |
| 13099 | ლეჩე-კიევო | 1.5 | 2.2 |
| 13100 | სიენა-მესინა | 1.7 | 1.9 |
| 13101 | ბოლონია-პალერმო | 1.7 | 1.9 |
| 13102 | ფიორენტინა-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 13103 | რეჯინა-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 13136 | მალიორკა-ალბასეტე | 1.7 | 1.9 |
| 13137 | სარაგოსა-ბარსელონა | 1.6 | 2.0 |
| 13138 | ბილბაო-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 13139 | ესპანიოლი-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 13140 | ვალენსია-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 13141 | ატლეტიკო-ლევანტე | 1.7 | 1.9 |
| 13142 | ნუმანსია-მალაგა | 1.7 | 1.9 |
| 13143 | ოსასუნა-რეალი | 1.7 | 1.9 |
| 13144 | რასინგი-სოსიედადი | 1.7 | 1.9 |
| 13145 | სევილია-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ევერტონი-ჩელსი | 2.3 | 1.65 |
| 14002 | პორტსმუთი-ასტონ ვილა | 1.8 | 2.0 |
| 14003 | ბლექბერნი-ნორვიჩი | 1.7 | 2.2 |
| 14004 | ბირმინგემი-ლივერპული | 2.1 | 1.75 |
| 14005 | ბოლტონი-მიდლსბრო | 1.75 | 2.1 |
| 14006 | სიტი-მანჩესტერი | 2.3 | 1.65 |
| 14007 | არსენალი-კრისტალ პალასი | 1.05 | 2.9 |
| 14075 | ვერდერი-მიონხენგლადბახი | 1.45 | 2.4 |
| 14076 | ჰერტა-ნიურნბერგი | 1.45 | 2.4 |
| 14077 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1.8 | 2.0 |
| 14078 | შალკე-ვოლფსბურგი | 1.3 | 2.5 |
| 14079 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1.45 | 2.4 |
| 14080 | ფრაიბურგი-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 14081 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1.45 | 2.4 |
| 14082 | ლევერკუზენი-მაინცი | 1.2 | 2.6 |
| 14083 | არმინია-ბაიერნი | 2.4 | 1.45 |
| 14094 | ლაციო-ატალანტა | 1.3 | 2.5 |
| 14095 | ინტერი-რომა | 1.65 | 2.3 |
| 14096 | ლივორნო-სამპდორია | 1.9 | 1.9 |
| 14097 | იუვენტუსი-უდინეზე | 1.3 | 2.5 |
| 14098 | ბრეშა-კალიარი | 1.8 | 2.0 |
| 14099 | ლეჩე-კიევო | 1.75 | 2.1 |
| 14100 | სიენა-მესინა | 1.75 | 2.1 |
| 14101 | ბოლონია-პალერმო | 1.8 | 2.0 |
| 14102 | ფიორენტინა-პარმა | 1.8 | 2.0 |
| 14103 | რეჯინა-მილანი | 2.4 | 1.45 |
| 14136 | მალიორკა-ალბასეტე | 1.7 | 2.2 |
| 14137 | სარაგოსა-ბარსელონა | 2.3 | 1.6 |
| 14138 | ბილბაო-ბეტისი | 1.7 | 2.2 |
| 14139 | ესპანიოლი-ხეტაფე | 1.45 | 2.4 |
| 14140 | ვალენსია-დეპორტივო | 1.65 | 2.3 |
| 14141 | ატლეტიკო-ლევანტე | 1.45 | 2.4 |
| 14142 | ნუმანსია-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 14143 | ოსასუნა-რეალი | 2.3 | 1.65 |
| 14144 | რასინგი-სოსიედადი | 1.8 | 2.0 |
| 14145 | სევილია-ვილიარეალი | 1.8 | 2.0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ევერტონი-ჩელსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15002 | პორტსმუთი-ასტონ ვილა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15003 | ბლექბერნი-ნორვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15004 | ბირმინგემი-ლივერპული | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15005 | ბოლტონი-მიდლსბრო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15006 | სიტი-მანჩესტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15007 | არსენალი-კრ. პალასი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15075 | ვერდერი-მიონხენგლადბახი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15076 | ჰერტა-ნიურნბერგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15077 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15078 | შალკე-ვოლფსბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15079 | დორტმუნდი-ბოხუმი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15080 | ფრაიბურგი-ჰანოვერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15081 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15082 | ლევერკუზენი-მაინცი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15083 | არმინია-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15094 | ლაციო-ატალანტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15095 | ინტერი-რომა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15096 | ლივორნო-სამპდორია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15097 | იუვენტუსი-უდინეზე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15098 | ბრეშა-კალიარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15099 | ლეჩე-კიევო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15100 | სიენა-მესინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15101 | ბოლონია-პალერმო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15102 | ფიორენტინა-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15103 | რეჯინა-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15136 | მალიორკა-ალბასეტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15137 | სარაგოსა-ბარსელონა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15138 | ბილბაო-ბეტისი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15139 | ესპანიოლი-ხეტაფე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15140 | ვალენსია-დეპორტივო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15141 | ატლეტიკო-ლევანტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15142 | ნუმანსია-მალაგა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15143 | ოსასუნა-რეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15144 | რასინგი-სოსიედადი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15145 | სევილია-ვილიარეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12001 | ევერტონი-ჩელსი | 1.6 | 2.0 |
| 12002 | პორტსმუთი-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 12003 | ბლექბერნი-ნორვიჩი | 1.6 | 2.0 |
| 12004 | ბირმინგემი-ლივერპული | 1.7 | 1.9 |
| 12005 | ბოლტონი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 12006 | სიტი-მანჩესტერი | 1.7 | 1.9 |
| 12007 | არსენალი-კრისტალ პალასი | 2.2 | 1.5 |
| 12075 | ვერდერი-მიონხენგლადბახი | 2.1 | 1.6 |
| 12076 | ჰერტა-ნიურნბერგი | 2.1 | 1.6 |
| 12077 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 2.1 | 1.6 |
| 12078 | შალკე-ვოლფსბურგი | 2.2 | 1.55 |
| 12079 | დორტმუნდი-ბოხუმი | 2.1 | 1.6 |
| 12080 | ფრაიბურგი-ჰანოვერი | 1.9 | 1.7 |
| 12081 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 2.1 | 1.6 |
| 12082 | ლევერკუზენი-მაინცი | 2.3 | 1.4 |
| 12083 | არმინია-ბაიერნი | 1.9 | 1.7 |
| 12094 | ლაციო-ატალანტა | 1.7 | 1.9 |
| 12095 | ინტერი-რომა | 2.2 | 1.5 |
| 12096 | ლივორნო-სამპდორია | 1.6 | 2.0 |
| 12097 | იუვენტუსი-უდინეზე | 1.7 | 1.9 |
| 12098 | ბრეშა-კალიარი | 1.7 | 1.9 |
| 12099 | ლეჩე-კიევო | 2.0 | 1.6 |
| 12100 | სიენა-მესინა | 1.7 | 1.9 |
| 12101 | ბოლონია-პალერმო | 1.6 | 2.0 |
| 12102 | ფიორენტინა-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 12103 | რეჯინა-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 12136 | მალიორკა-ალბასეტე | 1.6 | 2.0 |
| 12137 | სარაგოსა-ბარსელონა | 1.9 | 1.7 |
| 12138 | ბილბაო-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 12139 | ესპანიოლი-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 12140 | ვალენსია-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 12141 | ატლეტიკო-ლევანტე | 1.7 | 1.9 |
| 12142 | ნუმანსია-მალაგა | 1.7 | 1.9 |
| 12143 | ოსასუნა-რეალი | 1.9 | 1.7 |
| 12144 | რასინგი-სოსიედადი | 1.7 | 1.9 |
| 12145 | სევილია-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |

## ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ევერტონი-ჩელსი | 2.6 | 1.3 |
| 16002 | პორტსმუთი-ასტონ ვილა | 1.5 | 2.0 |
| 16003 | ბლექბერნი-ნორვიჩი | 1.3 | 2.65 |
| 16004 | ბირმინგემი-ლივერპული | 2.0 | 1.5 |
| 16005 | ბოლტონი-მიდლსბრო | 1.5 | 2.0 |
| 16006 | სიტი-მანჩესტერი | 2.6 | 1.3 |
| 16007 | არსენალი-კრისტალ პალასი | 1.02 | 6.5 |
| 16075 | ვერდერი-მიონხენგლადბახი | 1.2 | 3.1 |
| 16076 | ჰერტა-ნიურნბერგი | 1.2 | 3.1 |
| 16077 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1.5 | 2.0 |
| 16078 | შალკე-ვოლფსბურგი | 1.15 | 3.5 |
| 16079 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1.2 | 3.1 |
| 16080 | ფრაიბურგი-ჰანოვერი | 1.6 | 1.9 |
| 16081 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1.2 | 3.4 |
| 16082 | ლევერკუზენი-მაინცი | 1.05 | 5.1 |
| 16083 | არმინია-ბაიერნი | 3.1 | 1.2 |
| 16094 | ლაციო-ატალანტა | 1.15 | 3.4 |
| 16095 | ინტერი-რომა | 1.25 | 2.7 |
| 16096 | ლივორნო-სამპდორია | 1.8 | 1.75 |
| 16097 | იუვენტუსი-უდინეზე | 1.12 | 3.5 |
| 16098 | ბრეშა-კალიარი | 1.5 | 2.1 |
| 16099 | ლეჩე-კიევო | 1.45 | 2.2 |
| 16100 | სიენა-მესინა | 1.45 | 2.2 |
| 16101 | ბოლონია-პალერმო | 1.5 | 2.1 |
| 16102 | ფიორენტინა-პარმა | 1.4 | 2.3 |
| 16103 | რეჯინა-მილანი | 2.8 | 1.25 |
| 16136 | მალიორკა-ალბასეტე | 1.3 | 2.6 |
| 16137 | სარაგოსა-ბარსელონა | 2.6 | 1.3 |
| 16138 | ბილბაო-ბეტისი | 1.35 | 2.3 |
| 16139 | ესპანიოლი-ხეტაფე | 1.2 | 3.2 |
| 16140 | ვალენსია-დეპორტივო | 1.25 | 2.8 |
| 16141 | ატლეტიკო-ლევანტე | 1.2 | 3.4 |
| 16142 | ნუმანსია-მალაგა | 1.6 | 2.0 |
| 16143 | ოსასუნა-რეალი | 2.5 | 1.25 |
| 16144 | რასინგი-სოსიედადი | 1.5 | 2.0 |
| 16145 | სევილია-ვილიარეალი | 1.45 | 2.0 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17001 | ევერტონი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17002 | პორტსმუთი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ბლექბერნი-ნორვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ბირმინგემი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ბოლტონი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17006 | სიტი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | არსენალი-კრისტალ პალასი | 1.85 | 1.95 |
| 17075 | ვერდერი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17076 | ჰერტა-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17077 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17078 | შალკე-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17079 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17080 | ფრაიბურგი-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17081 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1.85 | 1.95 |
| 17082 | ლევერკუზენი-მაინცი | 1.9 | 1.9 |
| 17083 | არმინია-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17094 | ლაციო-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 17095 | ინტერი-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17096 | ლივორნო-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17097 | იუვენტუსი-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17098 | ბრეშა-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17099 | ლეჩე-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17100 | სიენა-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17101 | ბოლონია-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17102 | ფიორენტინა-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17103 | რეჯინა-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17136 | მალიორკა-ალბასეტე | 1.85 | 1.95 |
| 17137 | სარაგოსა-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17138 | ბილბაო-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17139 | ესპანიოლი-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17140 | ვალენსია-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17141 | ატლეტიკო-ლევანტე | 1.85 | 1.95 |
| 17142 | ნუმანსია-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 17143 | ოსასუნა-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17144 | რასინგი-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17145 | სევილია-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |

# პრეზიდიუმმა პრეზიდენტს კვანტი დაუდო



„ბერძენ-რომაელთა“ ნაკრების თავკაც ბეგი დარჩიას (მარჯვნივ) შეგირდებმა ბოლომდე დაუჭირეს მხარი

## მოჭიდავეებმა ბაკურ გოგიტიძე გადააყენეს

ყველაფერი მას შემდეგ დაიწყო, რაც პრეზიდენტმა ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებების მთავარი მწვრთნელები თანამდებობიდან გაათავისუფლა და მათ ადგილზე დროებით მოვალეობის შემსრულებლები დანიშნა. ზაზა. თურმანიძის საქმე ზაზა ტყეშელაშვილმა გადაიბარა და 8 თებერვალს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ბაკურიანულ შეკრებაზეც წაიყვანა. იმავე დღეს, იქვე უნდა დაეწყოთ მოახლოვებული ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება ბერძენ-რომაელებსაც, მაგრამ ბეგი დარჩიას შემცვლელად მოაზრებულ კობა ჭიჭეიშვილს ნაკრები ბაკურიანში არ გაჰყვა.

მოჭიდავეებმა კატეგორიულად განაცხადეს, რომ შეკრებაზე მანამ არ წავიდოდნენ, სანამ ფედერაცია გადაწყვეტილებას არ შეცვლიდა და ბეგი დარჩიას მთავარ მწვრთნელად არ დააბრუნებდა. გათავისუფლებული მწვრთნელი მათ ვაკის დარბაზში მიიყვანეს და მთელი კვირა მისივე მეთვალყურეობით ივარჯიშეს. საქმეს ვერც ფედერაციის მორიგმა გადაწყვეტილებამ უშველა. გაფიცულებისთვის ნაკრებში დარჩიას ახალი თანამდებობა — წამყვანი სპეციალისტობაც მიუღებელი აღმოჩნდა და ბოლოს სიტუაცია ისე დაიძაბა, ქართული ჭიდაობის ლიდერებმა კარიერის საზღვარგარეთ გაგრძელებაზეც კი ჩამოაგდეს სიტყვა.

ორი დღის წინ მდგომარეობის გამოსწორების რეალური გზა გამოჩნდა. საჭიდაო სამყაროში მოტრიალე ხალხმა პრეზიდიუმის საგანგებო სხდომის ჩატარება მოითხოვა და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა თემურ ყაზარაშვილმაც სხდომის მოწვევის დღედ 11 თებერვალი დაასახელა.

პრეზიდიუმის 23 წევრიდან გუშინ სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში 18 მივიდა და ხმამაღალი საუბრებიც გაჩაღდა. მთავარი საკამათო თემა, რაღა თქმა უნდა, ბერძენ-რომაელთა ნაკრები იყო და პრეზიდიუმის წევრთა გარდა დარბაზში მოჭიდავეები — მანუჩარ კვირკველია, აკაკი ჩაჩუა, მუხრან ვახტანგაძე, მირიან გიორგაძე და სხვებიც გამოჩნდნენ. კამათმა დაახლოებით ერთ საათს გასტანა, მერე კი ყველამ სპორტის დეპარტამენტის ვიცე-პრეზიდენტისა და მოჭიდავეთა პრეზიდიუმის წევრ გია გალდავას კაბინეტში გადაინაცვლა. მავანთა გადაწყვეტილებით, ჟურნალისტებს კარებისკენ მიგვითითეს, მაგრამ ორიოდ წუთში გალდავამ ოთახში დაგვაბრუნა.



თემურ ყაზარაშვილი

ათწუთიანი კამათის შემდეგ თემურ ყაზარაშვილმა სხდომის დღის წესრიგის გახმაურება სცადა, თუმც ბაკურ გოგიტიძემ მასმედიას მიმართა — ყველაფერი, რაც თქვენს თვალწინ ხდება, განაწყენებული ხალხის ჯიუტი ქმედების შედეგია. მე პრეზიდიუმის სხდომა არ მომიწვევია, არადა, ჭიდაობის ფედერაციის წესდებაში გარკვევით წერია, რომ ამის უფლება მხოლოდ პრეზიდენტს აქვს. პრეზიდიუმს კი მარტო იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი გარდაიცვალა ან შვებულებაში იმყოფებაო. ამის დასტურად პრეზიდენტმა წესდების მერვე მუხლიც გვაჩვენა, მაგრამ იქვე მოწინააღმდეგე მხარემ წესდების მეშვიდე მუხლზე მიგვანიშნა, რომლის მეხუთე პუნქტშიც იკითხება:

„პრეზიდიუმის სხდომა მოიწვევა პრეზიდენტის ან ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტის მიერ საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ არაუგვიანეს ერთი კვარტლისა. მოწვევა წარმოებს წერილობით.“

ვიცე-პრეზიდენტმა ყაზარაშვილმაც დაადასტურა, პრეზიდიუმი მე მოვიწვიეო და სხდომაც გახსნა. პირველი სიტყვის უფლება ბეგი დარჩიას მისცეს. მან ერთხელაც თქვა, რომ სკანდალის ინიციატორი არ ყოფილა, ვაკის დარბაზში ბიჭების თხოვნით დაბრუნდა და ამათ ვერაფრით ვერ ვუღალატებო, დასძინა. ნაკრების ყოფილ თავკაცს ძველ თანამდებობაზე დაბრუნებაზე რომ ჩამოუგდეს სიტყვა, კატეგორიული უარი განაცხადა — „თუ ბიჭებს ისევ ვავარჯიშებ, ყველას ვთხოვ, ჩემი სახელის ხსენებისას არა მწვრთნელი, არამედ მოვალეობის შემსრულებელიც აუცილებლად ახსენოს, ხოლო ვინ იქნება ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ჯობს ეს საჭიდაო სამყარომ გადაწყვიტოს.“

საჭიდაო სამყაროს შეკრებისა და რიგგარეშე ყრილობის ჩატარების ეს იდეა თითქმის ყველამ აიტაცა, თუმც ძნელი სავარაუდოა, იდეა დარჩიასი ყოფილიყო. საამისოდ პრეზიდიუმის წევრთა უმეტესობა თავიდანვე მზად იყო. ჰოდა, ყაზარაშვილმა რიგგარეშე ყრილობის მოწვევას კენჭი უყარა. 18 წევრიდან 13-მა ხელი თანხმობის ნიშნად აწია. გოგიტიძემ კი თქვა — ვისაც ჭიდაობა უყვარს, თან გამომყვესო და ოთახი დატოვა.

რამდენიმე წუთში პრეზიდიუმმა პრეზიდენტს უფლებამოსილება შეუწყვიტა და მის დროებით შემცვლელად ვიცე-პრეზიდენტი ყაზარაშვილი ერთხმად აირჩია. იქვე გადაწყდა, რომ ყრილობამდე თავიანთ საქმიანობას დაუბრუნდებიან გოგიტიძისგან გათავისუფლებული მწვრთნელებიც. რიგგარეშე ყრილობის თარიღის დადგენა ცოტა გაიწელა. ბოლოს ყველა ასაკის ნაკრების საგაზაფხულო კალენდარს გადახედეს და ოპტიმალურ ვარიანტად 4 მაისი შეარჩიეს. ამ დღეს სავარაუდოდ საპრეზიდენტო არჩევნებიც გაიმართება და ყველა ასაკის ნაკრებთა ხელმძღვანელობაც უმრავლესობის სურვილის მიხედვით აირჩევა.

სხდომის დღის წესრიგში ჩამოწერილ საკითხთა ამოწურვის შემდეგ გია გალდავამ ახალი იდეა გააჟღერა: „ჭიდაობა სპორტის ერთი გამორჩეული სახეობაა. მას უდიდესი ტრადიცია აქვს. აწმყოცა და მომავალიც რომ ლამაზი იყოს, ამაზე ფიქრის და მუშაობის მარტო პრეზიდიუმი ვერ გასწვდება. მგონი, აჯობებს, ცალკე სათათბიროც შეიქმნას, რომელიც ჭიდაობაში კარგად ჩახედული ხალხით დაკომპლექტდება. თუ პრეზიდიუმის წევრებიც მხარს დამიჭერენ, ჩემი აზრით, სათათბიროს საუკეთესო ხელმძღვანელსაც გავიმხელთ. მსოფლიოს ჩემპიონმა გურამ სალარაძემ აქტიური სპორტული კარიერა ათწლეულების წინ დაასრულა, მაგრამ დღემდე საჭიდაო სამყაროში ერთ-ერთი აქტიური კაცად რჩება.“

პრეზიდიუმმა გალდავას იდეასაც და სალარაძის კანდიდატურასაც ერთხმად დაუჭირა მხარი და სხდომაც დამთავრდა. მწვრთნელებმა და ნაკრების წევრებმა კომენტარების გაკეთებისგან თავი შეიკავეს. პრეზიდიუმის წევრთა კომენტარები კი დაახლოებით ერთი და იგივე შინაარსის იყო. ყველამ აღნიშნა, რომ თვეების წინ ბაკურ გოგიტიძის გვერდით იდგნენ, მაგრამ აზრი პრეზიდენტს მოულოდნელმა გადაწყვეტილებებმა შეაცვლევინათ. საჭიდაო საქმეები უშუალოდ საჭიდაო სამყარომ უნდა გადაწყვიტოს და არა ერთპიროვნულად პრეზიდენტმაო.

„ბაკურ გოგიტიძეს კვლავ შეუძლია გახდეს პრეზიდენტი. ჩემი აზრით, საამისოდ საკმაოდ კარგი შანსიც აქვს, ოღონდ მოვალეობა პროფესიულად იმოქმედოს. მას პიროვნულად არავინ არაფერს ერჩის. უბრალოდ, ქართული ჭიდაობის დღემდე მომტანი და მასში აქტიურად მოტრიალე ხალხის შრომა წყალში არ უნდა ჩაეყაროთ“ — ეს გალდავას სიტყვებია. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა თემურ ყაზარაშვილმა კი გადაჭრით გვითხრა, საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატურის წამოყენებას არ ვაპირებო.

**ოთარ მაღლაკელიძე**





ორი თვის წინ ბაკურ გოგიტიძეს მთელი საჭიდაო სამყარო მხარს უჭერდა, ახლა კი...

Euroleague

# ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. XVI ტური. 9-10 თებერვალი

## ბოისამ ათეულში მოარტყა

### მოსკოვს პირველობის სჯერა



**ევროლიგის** ჯგუფური ეტაპი დასრულდა. ეს გათამაშება ისტორიული გამოდგა, რაკი წლეულს ამ ტურნირის რეკორდი გამოცხვა. მოსკოვის ცსკა-მ, რომელმაც მაისში ევროლიგის ოთხთა ფინალს უნდა უმასპინძლოს, ამ ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე ყველა მატჩი მოიგო და უნიკალურ შედეგს მიაღწია.

ცსკა-ში და სრულიად რუსულ კალათბურთში წლეულს არნახულად დიდი ფულია ჩადებული. არმიელეზე არანაკლები გუნდი ჰყავს მოსკოვის „დინამოს“, მაგრამ ის ევროლიგაში არ მონაწილეობს და ამიტომაც ამ კლუბის მიღწევები ბევრი კონტინენტისთვის ნაკლებადაა ცნობილი. ხოლო ის, რაც ევროპამ იცის რუსულ საკლუბო კალათბურთზე, ცსკა-ში გამოიხატება და ეს გუნდიც ქვას ქვაზე არ ტოვებს ევროპის მწვერვალისკენ მიმავალ გზაზე.

არმიელებმა ევროლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმეს ფრანკფურტში, სადაც გერმანიის სიამაყე, ცნობილ კონცერნ „ოპელისგან“ წელგამართული „სკაილაინერზი“ დადეს ბეჭებზე. რუსულმა გრანდმა წინა წრეში გერმანელებს მოსკოვში გაჭირვებით მოუგო და ეს მეტოქის შეუფასებლობის გამო მოხდა. ახლა კი არმიელებმა იცოდნენ, რომ სერიოზულ გუნდთან ჰქონდათ საქმე და თამაშში მთელი თავიანთი მონდომება ჩადეს.

არმიელთაგან თუ ვინმეს გამოვარჩევთ, უპირველესად ბრაზილიელ დევიდ ანდერსენს, რომელმაც 30 ქულასთან ერთად 11 მოხსნა მიითვალა და ცსკა-ს გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

სულ სხვა შეხვედრაში, გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ვლადიმერ ბოისამაც, მაგრამ იგი ისეთი გამორჩეული არ ყოფილა, როგორც სჩვევია. ლიუბლიანურ „ოლიმპიას“ გამარჯვება არაფერში სჭირდებოდა, რაკი წინდაწინ იყო ცნობილი, რომ ეს გუნდი ჯგუფიდან ვერსგზით ვერ გავიდოდა. ოლიმპიელებმა მაინც მოინდომეს და ათენის აეკ-ი, მეორე ეტაპზე თავდაგულებული და მეტად კერკეტი გუნდი, ლიუბლიანაში დაამარცხეს.

ბოისამ 30 წუთი ითამაშა და 7 ქულასთან ერთად ოლიმპიელთაგან უმეტესი, 8 მოხსნა მიითვალა. ამით ბოისამ დაასრულა ევროლიგის ამ სეზონში გამოსვლა და მიუხედავად იმისა, რომ მისი „ოლიმპია“ მომდევნო ეტაპზე ვერ გავიდა, ამ ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე გახდა.

აეკ-თან მატჩამდე ის მე-9 იყო ევროლიგის ბომბარდირთა შორის და ბერძნებთან მწირქულიანობის მიუხედავად, მაინც შეინარჩუნა ეს საპატიო ადგილი. ვოვამ ითამაშა ამ სეზონის ყველა მატჩში და საშუალოდ თითოში 16 ქულას იხვეჭდა. მან გაუსწრო არაერთ ევროვარსკვლავს, რომელთა შორის პირველ რიგში მისი თანაამპლუელი და საქვეყნოდ ცნობილი დეიან ბოდიროგა უნდა გამოვარჩიოთ. ბოისა ევროლიგის რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე გახდა და ეს ფაქტორი მას ხელსაყრელი კონტრაქტის მოპოვებაში დაეხმარება. შეგახსენებთ, რომ ვოვას ამ სეზონის ბოლოს „ოლიმპიასთან“ ექვსწლიანი კონტრაქტი უმთავრდება და სავარაუდოდ ის ლიუბლიანურ გუნდს დატოვებს.

ახლა კი იმ მეთექვსმეტე გუნდზე ვთქვათ, რომელმაც მეორე ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლება ყველაზე გვიან მოიპოვა. მეექვსეადგილოსანთა შორის საუკეთესო იტალიური „სკავოლინია“, რომელმაც შინ უშანსოდ დატოვა მომდევნო ეტაპზე თავდაგულებული „სიენა“ და ესპანურ „უნიკახას“, რომელიც შემდეგ ეტაპზე გასასვლელად იბრძოდა, შინ ბობოლა „ბენეტონის“ დამარცხება გაუუფერულა.

**ირაკლი პერტაია**

**A ჯგუფი**

**პარტიზანი 49:74 ეფესი**

**პარტიზანი:** ტრიპკოვიჩი (22), პეროვიჩი (12)
**ეფესი:** სოლომონი (21), დომერკანტი (19), ნიკოლიჩი (11)

**ოლიმპიაკოსი 90:80 ვილერბანი**

**ოლიმპიაკოსი:** გულიაში (20), მეისონი (16), პერი (12), სკლავოში (11)
**ვილერბანი:** სუარესი (20), იასენი (11), გარსესი (11)

**რეალი 79:81 კლიმამიო**

**რეალი:** ბალოკი (27), ჰერვილი (17)
**კლიმამიო:** ვუიანიჩი (18), დუგლასი (17), ლორბეკი (15)

**პროკომი 83:78 ციბონა**

ძირითადი დრო 67:67

**პროკომი:** იაგოდნიკი (20), მილერი (13), ვოიჩიკი (13), ნემეტი (11)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კლიმამიო | 14 | 12 | 2 | +96 | 26 |
| ეფესი | 14 | 12 | 2 | +146 | 26 |
| ციბონა | 14 | 8 | 6 | +47 | 22 |
| რეალი | 14 | 7 | 7 | +36 | 21 |
| პროკომი | 14 | 7 | 7 | -47 | 21 |
| ესტუდიანტესი | 14 | 4 | 10 | -35 | 18 |
| ოლიმპიაკოსი | 14 | 4 | 10 | -127 | 18 |
| პარტიზანი | 14 | 2 | 12 | -116 | 16 |

**ოლიმპია 70:66 აეკ**

**ოლიმპია:** ბოჩევსკი (20), მაკლინტონი (14), *ბოისა* (30 წუთი, 7 ქულა, 8 მოხსნა)
*მარკოიშვილი სათადარიგო იყო*
**აეკ:** ნიჩევიჩი (20), ჰაცისი (13)

**სკავოლინი 83:69 სიენა**

**სკავოლინი:** სმიტი (20), არჩიბალდი (19), პენი (17)
**სიენა:** სტეფანოვი (19), ვანტერპული (14)

**ბარსელონა 81:79 მაკაბი**

**ბარსელონა:** ბოდიროგა (20), ფუჩა (16), ნავარო (16)
**მაკაბი:** იასიკევიჩუსი (21), ბასტონი (15), ვუიჩიჩი (12), ბურშტეინი (12)

**ჟალგირისი 86:72 ვილერბანი**

**ჟალგირისი:** ბერდი (28), სელენგა (16)
**ვილერბანი:** ბეშოქი (20), ლიდეი (16)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 14 | 10 | 4 | +135 | 24 |
| ბარსელონა | 14 | 9 | 5 | +26 | 23 |
| ჟალგირისი | 14 | 8 | 6 | +5 | 22 |
| აეკ | 14 | 7 | 7 | -4 | 21 |
| სიენა | 14 | 7 | 7 | +56 | 21 |
| სკავოლინი | 14 | 7 | 7 | -52 | 21 |
| ოლიმპია | 14 | 6 | 8 | -18 | 20 |
| ვილერბანი | 14 | 2 | 12 | -148 | 16 |

**C ჯგუფი**

**სკაილაინერზი 88:103 ცსკა**

**სკაილაინერზი:** უილიამსი (26), პანტელიადისი (17), სლივანჩანინი (12)
**ცსკა:** ანდერსენი (30), ბრაუნი (21)

**უნიკახა 74:59 ბენეტონი**

**უნიკახა:** ჰერმანი (21), ვასკესი (14)
**ბენეტონი:** გორეე (16), შიშკაუსკასი (10), მორლენდე (10)

**პო ორტეზი 62:88 პანათინაიკოსი**

**პო ორტეზი:** ჩატმანი (11)
**პანათინაიკოსი:** ლაკოვიჩი (21), ბატისტი (11)

**ულქერი 86:73 ტაუ**

**ულქერი:** შტომბერგასი (19), ერდოგანი (13), ჟუკაუსკასი (12), გონლუმი (12), პრასკევიჩუსი (12)
**ტაუ:** სკოლა (16), კონლი (13), ვიდალ პლანა (10), გაბინი (10)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 14 | 14 | 0 | +117 | 28 |
| პანათინაიკოსი | 14 | 8 | 6 | +65 | 22 |
| ბენეტონი | 14 | 8 | 6 | +53 | 22 |
| ულქერი | 14 | 7 | 7 | +43 | 21 |
| ტაუ | 14 | 6 | 8 | +3 | 20 |
| უნიკახა | 14 | 6 | 8 | +6 | 20 |
| სკაილაინერზი | 14 | 4 | 10 | -141 | 18 |
| პო ორტეზი | 14 | 3 | 11 | -146 | 17 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

10 თებერვალი

**დეტროიტი 103:81 ლეიკერსი**

**დეტროიტი:** პრინსი (25), რ. ვოლესი (23)
**ლეიკერსი:** ოდომი (17)

**სიეტლი 115:107 საკრამენტო**

**სიეტლი:** ალენი (34), ლუისი (23)
**საკრამენტო:** სტოიაკოვიჩი (28), მობლი (23), ვებერი (19 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი)

**ორლანდო 101:96 ატლანტა**

**ორლანდო:** ფრენსისი (28), თურქოღლუ (24), ჰილი (16)
**ატლანტა:** უოლკერი (25), დელკი (25)



ჩრდილოეთ ამერიკიდან სენსაციური ამბები მოვიდა. როგორც იქნა

## ბეტმენიც ალაპარაკდა

*შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას ლიგასა და პროფკავშირს შორის გამართული მოლაპარაკების მორიგი რაუნდის ჩაშლის შემდეგ ყველა ელოდა, რომ ნჰლ-ს ბოსი გერი ბეტმენი სეზონს გაუქმებულად გამოაცხადებდა, მაგრამ მან კიდევ რამდენიმედღიანი პაუზა აიღო და მხოლოდ ოთხშაბათს გახდა ცნობილი მისი გადაწყვეტილება — თუ კვირის ბოლომდე ლიგა და მოთამაშეთა ასოციაცია შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, მაშინ 2004-05 წლების სეზონი აღარ ჩატარდება.*

*ასე რომ, კვირა დღე ფაქტობრივად დედლაინის დღედ იქცა და შესაბამისად, უკვე მომდევნო კვირის დაწყებამდე საბოლოოდ გაცხადდება, იქნება თუ არა წლეულს ნჰლ-ური ჰოკეი.*

„ეს ძალიან რთული, გულსატკენი პროცესი იყო. ვწუხვართ, რომ მასში მონაწილეობა მოგვიხდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვქონდა. ჩემთვის სავსებით ნათელია, რომ თუ კვირის ბოლომდე კომპრომისი არ მოიძებნება, მაშინ სეზონის ჩატარებას აზრი აღარ ექნება. უბრალოდ, ვერ წარმომიდგენია, როგორ შევძლებთ თამაშს. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველაფერს მოვუსმენთ, რასაც პროფკავშირი იტყვის, მაგრამ ისედაც უკვე ძალიან შორს წავედით და ყველაფერი დავთმეთ, რაც შეგვეძლო“ — აი, ასეთი გახლდათ ბეტმენის კომენტარი.

ამასობაში კი ცნობილი გახდა, რომ მხარეებმა ოთხშაბათს საიდუმლო შეხვედრა გამართეს და ასევე გაცხადდა, თუ რას გულისხმობდა ბეტმენი, როდესაც ამბობდა, რომ ლიგა ისედაც დიდ დათმობაზე წავიდა. თურმე ოთხშაბათს ბეტმენი და მისი თანაშემწე ბილ დეილი ეწვივნენ ასოციაციის შტაბბინას ტორონტოში და ოპონენტებს თავიანთი ახალი კონცეფცია წარუდგინეს, რომელსაც თავად „საკომპრომისო წინადადება“ უწოდეს. ლიგის ეს ახალი კონცეფცია, თქვენ წარმოიდგინეთ, პროფკავშირის მიერ 9 დეკემბერს წარდგენილ პროექტზე დაყრდნობით გაკეთდა! ასე რომ, ლამის სამი თვის შემდეგ ლიგამ პრაქტიკულად მიიღო ოპონენტთა გეგმა. მაგრამ მის პროექტში ოთხი ზღვრული პირობა, თუ გნებავთ ზღვარი, არსებობს (ჯერჯერობით მათი შინაარსი არაა ცნობილი), რომელთა შეუსრულებლობის შემდეგ მომავალი სეზონიდან ნჰლ კვლავ მოითხოვს სახელფასო ჭერის შემოღებას, ანუ იმას, რაც ასოციაციამ მიუღებლად ჩათვალა.

უნდა ითქვას, რომ არც ამ ახალმა წინადადებამ მოუფონა პროფკავშირის ლიდერებს მაინცდამაინც გული. მართალია, ნჰლპა-ს ბოსმა ბობ გუდენაუმ თავი აარიდა ამ ზღვრული პირობების განმარტებას, მაგრამ მან პირნათლად განაცხადა, რომ ამ ოთხი პირობიდან ერთი აშკარად არ შესრულდება, ხოლო დანარჩენი სამი ზღვარი ადვილად გადასალახია.

ასე რომ, გაისად ისევ გამოუვალი სიტუაცია შეიქმნება.

„ლიგამ ერთფურცლიანი კონცეფცია წარმოგვიდგინა, რომელშიც, ფაქტობრივად, ჩვენს პროექტზე თავისი სამჭერიანი წინადადების გარკვეული ელემენტების დადებას შეეცდება“ — თქვა გუდენაუმ. მთავარმა პროფკავშირელმა ისიც დასძინა, რომ, მისი აზრით, გარკვეული დედლაინის დასახელება არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ჯერ კიდევ იმდენი გადასაწყვეტი მომენტი რჩება, რომ სამი-ოთხი დღე ამას აშკარად არ ეყოფა. თუმც ამჯერად პროფკავშირის ბოსმა უმალ უარი არ განაცხადა და კონსულტაციებიც კვირის ბოლომდე გაიმართება. როგორც ირკვევა, ლიგამ უკვე შეიმუშავა შემოკლებული სეზონის კალენდარი, რომლის თანახმად, სავარაუდოდ სეზონი 25 თებერვალს დაიწყება, ხოლო ყველა გუნდი 28 თამაშს ჩაატარებს, შემდეგ კი პლეი ოფი გაიმართება ტრადიციული განრიგით, ანუ 16 გუნდის მონაწილეობით. ერთი სიტყვით, ფუნქციონერთა აზრით, გამოდის, რომ ჯერჯერობით არაფერია დაკარგული და, რაოდენ დაუჯერებლადაც უნდა ჟღერდეს, იმედი კვლავაც არის. ისე, ჰოკეისტების უმრავლესობას ამისი აღარ სჯერა. მაგალითად, „ოტავას“ კაპიტნის დანიელ ალფრედსონის აზრით, ეს მორიგი პიარული აქციაა, რომელიც არაფერს მოიტანს, ვინაიდან დრო უკვე დაკარგულია. მის აზრს ბევრი სხვა მოთამაშეც იზიარებს.

მოკლედ, ასეა თუ ისე, როგორც ჩანს, ახლა უკვე საბოლოოდ უნდა გადაწყდეს ყველაფერი.

**სამველ ღარიბიანი**



## მაიკი ისევ რინგისკენ მიიწევს

**მსოფლიოს** ექსჩემპიონ მაიკ ტაისონის მრჩეველი შელი ფინკელი ამბობს, რომ ახლა იგი მოლაპარაკებებს აწარმოებს თავისი „ალსაზრდელის“ ბრიტანელ მოკრივე დენი უილიამსთან მატჩრევანშისთვის.

ფინკელის თქმით, ის და უილიამსის წარმომადგენელი ახლა „ძალიან ახლოს არიან კონტრაქტზე ხელის მოსაწერად“.

„მაიკი ვარჯიშობს. იგი მზად არის რინგზე დასაბრუნებლად — ამბობს ფინკელი — მაიკსაც და დენისაც სურთ ეს ბრძოლა. ასე რომ, რინგზე მათი შეხვედრა, ეტყობა, გაიმართება კიდეც. ჯერჯერობით არ შემიძლია გითხრათ, სად გაიმართება ბრძოლა, ეს ჯერ კიდევ შესათანხმებელია ფრენკ უორენთან, დენისთან და თავად მაიკთან“.

შეგახსენებთ, რომ შარშან 30 ივლისს დენი უილიამსმა მაიკ ტაისონი მეოთხე რაუნდში ნოკაუტში ჩააგდო, რომელმაც ბრძოლის დასაწყისშივე მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო.

# ბოდიში, მეტს აღარ ვიზამთ

## ინგლისმა უელსთან მარცხი მოინანია



დღეს და ხვალ 6 ერის თასის მეორე ტური გაიმართება. ისე დაემთხვა, რომ ვერც ერთ წყვილში ვერ ვიხილავთ პირველ ტურში ორი გამარჯვებულის ან ორი დამარცხებულის ჯახს.

**რომში,** „სტადიო ფლამინიოზე", ირლანდიისგან ძლეული იტალია მსოფლიოს ჩემპიონ ინგლისის წამქცევ უელსს უმასპინძლებს. დღესვე, საღამოხანს, „მიურეიფილდის" სტადიონზე ფრანგთაგან ჩაგრული შოტლანდია აწ უკვე ერთ გამარჯვებამოხვეჭილ ირლანდიას გაებრძოლება, ხვალ კი ტურის ცენტრალური მატჩია.

6 ერის თასის მფლობელი საფრანგეთი, მსაჯის წყალობით რომ მოუგო შოტლანდიას, მსოფლიოს ჩემპიონ ინგლისს ესტუმრება თვიქენემში.

ცენტრალურიო, ვთქვით და მოდით, საუბარიც ამ მატჩით დავიწყოთ. მასპინძელთა თავკაცმა, ენდი რობინსონმა, რომელმაც საჯაროდ მოიხადა ბოდიში უელსთან წაგების გამო და აღიარა, შემადგენლობის დაყენებისას მწარედ შევცდიო, ერთბაშად 5 ცვლილება გააკეთა მომავალი თამაშისთვის.

19 წლის მეტიუ ტეტი, რომლის თამაშმაც მწვრთნელი არ დააკმაყოფილა, 22-კაციანი განაცხადიდან ამოვარდა. მის მაგივრად ხაზის ცენტრში ადგილს ოლი ბერკლი დაიკავებს. პირველ ტურში ბერკლი შეცვლაზე შემოვიდა და თავდადებული თამაშით მწვრთნელი მოხიბლა. 9 ნომერი მეტ დოუსონი სათადარიგოთა სკამზე გადაბრძანდება. მოედანზე მის ადგილს ჰარი ელისი დაიკავებს, ვისაც ინგლისელები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

2003 წლის მსოფლიოს თასზე თავგამოჩენილი ბურჯი ფილ ვიკერი ნაკრებს უბრუნდება. ვიკერი ჯულიან ვაითის მაგივრობას გასწევს, რომელსაც კარდიფში კისერი მოუგრიხეს და ახლა ლაზარეთში წევს.

ლუის მუდი და მარტინ კორი, რომელთაც ტრავმა აწუხებდათ, გამოჯანმრთელდნენ და ენდი ჰაზელისა და კრის ჯონსის ნაცვლად ითამაშებენ. ჰაზელი სათადარიგოებს მიუჯდება, ჯონსი კი საერთოდ ვერ მოხვდა განაცხადში.

ვეება დენი გრიუკოკი, რომელიც უკვე რამდენიმე მატჩია, ხულიგნობს, ამჯერადაც გადაურჩა სასჯელს. შეგახსენებთ, უელსთან მან ბუცი არადანიშნულებისამებრ მოიხმარა და დუეინ ფილს შუბლში უთავაზა. დენი ძირითად შემადგენლობაშია და ვნახოთ, ამჯერად ვის დაწიხლავს.

რაც უნდა, ის უქნია, ოღონდაც „მამლების მწყემსმა" ბერნარ ლაპორტმა ერთ კაცს თავი დაანებოს. ფრანგთა რიგებში დიმიტრი იაშვილი თამაშობს, რომელსაც, როგორც იქნა, სასტარტო შემადგენლობაში ანდო ადგილი ლაპორტმა. იაშვილი პიერ მინიონის ნაცვლად ითამაშებს 9 ნომრის პოზიციაზე. „მამლებს" სერჟ ბესენიც დაუბრუნდათ. ლაპორტს მისი დაყენების სურვილი კი აქვს, მაგრამ ერთმა გარემოებამ შეიძლება ხელი შეუშალოს. ბესენმა ჩემპიონატის მატჩში მეტოქე დაამტვრია. თუ დაუმტკიცდა, რომ ეს შეგნებულად გააკეთა, დისკვალიფიკაცია არ ასცდება. ბესენის არყოფნის შემთხვევაში მის ადგილს იანიკ ნიანგა დაიკავებს, სათადარიგოთა სკამი კი რემი მარტინს უხმობს.

პირველადაა ნაკრებში გამოძახებული ჟან-ფილიპ გრანკლოუ, რომელმაც განაცხადა, აღფრთოვანებული ვარ ასეთი პატივით, ბავშვობის ოცნება ამიხდაო.

ხოლო დღევანდელი ორი მატჩიდან უფრო საინტერესო უდავოდ შოტლანდია — ირლანდიის დაპირისპირებაა. ესენი „მიურეიფილდის" განთქმულ სტადიონზე შეერკინებიან ერთურთს.

შოტლანდიელები, წლევანდელი გათამაშების პირველი მატჩის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მოყოჩაღებულნი ჩანან და საეჭვოა, შარშანდელივით სირცხვილი ჭამონ. შეგახსენებთ, შარშან „სქოთები" ბოლო ადგილზე გავიდნენ და 6 ერის მაჩანჩალა იტალიასაც კი ვერ აჯობეს.

მათ შემადგენლობაში ცვლილება არ არის. მთავარ მწვრთნელ მეტ ფილიპსს საიმონ დანიელისა და ჯეისონ ვაითის თამაში ეეჭვებოდა, რადგანაც ფრანგებთან გადატანილი ომის შემდეგ ექიმებს ტრავმებზე ჰქონდათ ეჭვი, თუმცა ორივე გამოკეთდა და ირლანდიასთან საბრძოლველად მზად არის.

ირლანდიელებს კი პრობლემები მისძალებიათ. ადვილად კი მოიგეს რომში პირველი მატჩი, მაგრამ რაგბი ისეთი რამაა, შეიძლება ადვილად მოპოვებული ლუკმაც ყელში გაგეჩხიროს.

„აძურისთან" მატჩისას კელტიბერებს ორი წამყვანი მოთამაშე ბრაიან ოდრისკოლი და გორდონ დარსი დაუშავდათ. თავად განსაჯეთ, ბოლო 11 სანაკრებო მატჩში ირლანდიამ 283 ქულა მოაგროვა. ამის ნახევარი, 144 ქულა, სწორედ ოდრისკოლმა და დარსიმ მოაგროვეს 10 ნომერ რონან ოგარასთან ერთად.

მწვრთნელი ედი ოსალივანი ბედს უნდა უმადლოდეს, რომ ეს ხალხი მძიმედ არ დაშავდა და თვის ბოლოს, ინგლისთან ჯახისას სავარაუდოდ მწყობრში იქნებიან, მაგრამ მაინც როგორი საქმეა, კბილებალესილ შოტლანდიელებთან ორი მთავარშემტევი რომ არ გეყოლება.

მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ შოტლანდია — ირლანდიის მატჩი დაძაბული რამ იქნება და წინასწარი პროგნოზებისაგან თავის შეკავება გვმართებს.

სამაგიეროდ, მეორე ტურის პირველი მატჩია ადვილად პროგნოზირებადი. აბა, თავად განსაჯეთ, ინგლისის დამჩაგრავი უელსელი „დრაკონები" ის ბიჭები არიან, იტალიასთან თუნდაც გასვლაზე წააგონ?

მეტოქეთა რიგებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ არის. იტალიელთა თავკაცი ჯონ ქირვანი ირლანდიასთან მატჩით, როგორც ჩანს, მთლად უკმაყოფილო არ დარჩენილა. ისიც კი თქვა, ერთ მომენტში ლუდოვიკო ნიტოლის ბურთი წინ რომ არ გავარდნოდა, ეგებ მოგვეგო ის თამაშიო.

ასეა თუ ისე, 22 კაცი უცვლელად დატოვა. ერთია მხოლოდ — ლუჩიანო ორკერა, რომელმაც იმ მატჩის პირველ ტაიმში 3 საჯარიმო დარტყმა გააცუდა, ისევ მოედანზე იქნება, ოღონდ შორეულ დარტყმებს მის მაგივრად სხვა შეასრულებს.

**ლადო ფულუკიძე**



# სახალისო ჭადრაკი

## სალაღობო ამბები მეოთხე ჩემპიონის ცხოვრებიდან

მიხეილ ბოტვინიკი ალიოხინზე წერდა: ის უდიდესი მხატვარი იყო, თითოეული მისი პარტია შედევრია. შეუძლებელია, მათი გარჩევისას ესთეტიკური სიამოვნება არ მიიღო და მისმა გენიალურობამ არ გაგაოცოს



ალექსანდრ ალიოხინი 31.10.1892 — 24.03.1946

### გიცნობ? მიცნობ?

ალიოხინი კიდეში იჯდა და გვერდით მაგიდასთან ვიღაცეების თამაშს უყურებდა. მასავით ერთ-ერთმა მაყურებელმა ალიოხინსაც შესთავაზა თამაში. ჩემპიონი დათანხმდა და თან შესთავაზა, ფორაში ეტლს მოგცემთო.

მეტოქე, რომელიც თავს ძლიერ მოჭადრაკედ თვლიდა, ხოლო ვის ეთამაშებოდა არ იცოდა, შეურაცხყოფილი დარჩა: რომ მიცნობდეთ, ფორას არ მომცემდით?

ალიოხინმა ჩაიცინა: რომ არ გიცნობთ, სწორედ მაგიტომ გაძლევთ ფორას.

### ჩემპიონის ცოლი

ციურიხში, ტურნირის დროს ფიდეს პირველმა პრეზიდენტმა დოქტორმა რიუბმა ალიოხინის ცოლს ჭადრაკის პარტია შესთავაზა, ალიოხინს კი მოთხოვა, ხმა არ ამოიღოო. ჩემპიონიც დაპირდა, ენას კბილს დავაჭერო და განზე გადგა.

მცირე დროის მერე ალიოხინი დაფასთან მიბრუნდა და აღმოაჩინა, რომ მისი ცოლისთვის პარტია უიმედო იყო. დაიცადა და როგორც კი დოქტორმა რიუბმა წამით გაიხედა, ალიოხინმა ეტლი მოპარა და ისევ გაეცალა.

რუბმა დანაკარგი ვერ შენიშნა და თამაში გააგრძელა. როცა ალიოხინი მეორედ მივიდა დაფასთან, ისევ დაინახა, რომ ცოლი კვლავ უიმედო მდგომარეობაში იყო. ისევ იხელთა და როგორც კი რიუბმა გაიხედა, მეორე ეტლიც მოპარა და წავიდა.

რუბი ახლა კი მიხვდა, რომ რაღაც ვერ იყო წესრიგში. ერთხანს გაოგნებული დაჰყურებდა დაფას, მერე კი აყვირდა, ვიღაცამ ორივე ეტლი მომპარაო.

ეჭვი, ცხადია, ალიოხინზე მიიტანეს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღეს — ალიოხინმა ჟესტებით ანიშნა, ლაპარაკის უფლება არ მაქვსო.

### საიდუმლო სეანსი

გროსმეისტერმა ნაიდორფმა ერთ ტურნირში ალიოხინთან ყაიმს მიაღწია.

— გილოცავთ ახალგაზრდავ — გაუწოდა ხელი მსოფლიოს ჩემპიონმა — ახლა თქვენ შეგიძლიათ ჩემპიონთან ყაიმით იამაყოთ.

— მაპატიეთ, მაგრამ ანგარიში ჩემს სასარგებლოდაა 1.5:0.5 — გაეცინა ნაიდორფს.

— მეხუმრებით? — გაუკვირდა ალიოხინს.

— არა, მე თქვენ ერთდროული თამაშის სეანსის დროს მოგიგეთ ვარშავაში.

— შეუძლებელია, თქვენ რაღაც გეშლებათ — თავდაჯერებულობა დაუბრუნდა ალიოხინს — მე სახეზე ვცნობ აბსოლუტურად ყველა მოჭადრაკეს, რომლებთანაც ოდესმე წამიგია, მათ შორის ერთდროული თამაშის სეანსებში.

მაშინ მიგელ ნაიდორფმა ასეთი ამბავი გაიხსენა:

— სეანსში 25 დაფაზე იყო დაგეგმილი თამაში, მაგრამ ორგანიზატორებმა გთხოვეს, კიდევ ორი დაფა დაგემატებინათ მოზარდებისთვის. თქვენ უარი თქვით. მაშინ დარბაზიდან ვიღაცამ დაიძახა, ალიოხინს ბავშვების შეეშინდაო. ამან ძალიან გაგაცხარათ და განაცხადეთ, იმ ორ მოზარდს დაფაზე დაუხედავად ვეთამაშებიო. ის ორი მოზარდი მოშორებით დასვეს. ის სეანსი თქვენ 26:1 მოიგეთ. ერთადერთი პარტია ერთადერთი იმ მოზარდთან წააგეთ, რომელსაც დაფაზე დაუხედავად ეთამაშებოდით. ის მოზარდი კი მე ვიყავი.

ღმერთო ჩემო! — წამოიძახა ალიოხინმა — ეს თქვენ იყავით, 62-ზე ეტლი რომ შემომწირეთ? მთელი ოცი წელი მაინტერესებდა, ვინ იყო ის ბიჭი, მაშინ ვარშავაში ასე დიდებულად რომ დამამარცხა.

**არტემ გეზაძოვი**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ერთი წელიწადი

ტურინი საგაისო ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელია, ჰოდა, წამმზომიც ჩაირთო. ზუსტად ერთ წელიწადში თამაშებიც დაიწყება. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ჟაკ როგი (შუაში), ცხადია, კმაყოფილია. ჯგუფურ ფოტოზე ოლიმპიური ჩემპიონები და ორგანიზატორები იღიმებიან. მარცხნივ, კიდეზე, ინგლისელი ფიგურისტების ლეგენდარული წყვილი დგას: ჯეინ ტორვილი-კრისტოფერ დინი.








## მეგოლფე კოსტნერი

კევინ კოსტნერი, სპორტული ფილმების (და სხვებისაც) ნამდვილი ვარსკვლავი პებლ-ბიჩის საგოლფე ტურნირში ჩაბმულა. ისეთი კაცია, რომ ყველანაირი იერი უხდება საგოლფედ.

## დანია აგებს

დანიელი ფეხბურთის ფანები კარგ ხასიათზე ვერ არიან. მათი გუნდი აგებს. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში, სადაც საქართველოს ნაკრებიც არის, ჩრდილოელებს ბერძნებმა აჯობეს და ჯგუფში კიდევ უფრო არიეს ვითარება.







## შხაპუნა წვიმა

ბუენოს აირესში იქაური „ლოუნ ტენის კლუბი“ ძველი და განთქმული ადგილია. ოღონდ იქაც წვიმს ხოლმე. ასე რომ, გადაიდო ესპანელ ნიკოლას ალმაგროსა და არგენტინელ მარიანო საბალეტას თამაში. წყვილი კი მაინც ტკბილად ზის.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ზუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კალაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მისიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge